# სახალხო გაზეთი

№ 221 სამშაბათი, 1 თებერვალი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 221

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. ხზვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „ხორაბან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე; საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან საშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящ. N 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

## სახალხო გაზეთი

(კვირეულ სურათებიანი დამატებით).

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. 0. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილნაწილად: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

მიიღება ხელის მოწერა არჩილ ჯორჯაძის ნაწერებზე:

## „ეროვნულ პრობლემის გარშემო".

ამ წიგნში შევა უკანასკნელ წლებში სხვა და სხვა გაზეთებში დასტამბული პუბლიცისტიური წერილები, წინასიტყვაობით. წიგნი დაახლოვებით იქნება 250 გვერდი და ამ თავითვე ხელის-მომწერთათვის ეღირება ორი აბაზი (40 კ.). გასასყიდად გამოსვლისას ფასი მომატებული იქნება.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში: „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და წ.-კ. საზოგადოების მაღაზიაში. ქუთაისში: მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში. თელავში: ვანო პაატაშვილთან.

დანარჩენ ადგილებიდან ხელის-მომწერლებმა ფოსტის ხარჯად 10 კაპ. უნდა გამოგზავნონ. (5—2)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (ფ)

ქ. ქუთაისში
ქირურგიული და დედათა სნეულების
## საავადმყოფო
სამშობიარო განყოფილებით ექიმის
## ივ. ზუბერიასი
გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ. იქვე წამლობენ სიფილისს პროფესორ ერლიხის ახალი საშუალებით „606". (30—405—30)

ექიმი ი. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატაფვინის ქუჩების კუთხე N 24. 0—306

ექიმი რ. დ. მაჭავარიანი იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაკინოვის ქუჩა N 7. თ.—180—77

ექიმი ჯაფარიძე ქ. ქუთაისში
იღებს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—73

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო
## მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს კვირაობით მხოლოდ საღამოს 6—7 საათამდე დილით 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით.
ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (0—6.—87)

ექიმი ქ. ქუთაისში თ. ტყეშელაშვილი
იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ, საშარდე და სასქესო ავზბულობათა სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. ვირალოვის სახლი, (50—15—16

ს ა ხ ა ზ ი ნ ო თ ე ა ტ რ ი
სამშაბათს, 1 თებერვალს, 1911 წ., გამართება კითხვა
## „სიცოცხლის ღირებულება"
(თავის მკვლელობაზე)

1) მ. ა. ანდრეევი: სიცოცხლის ფასი, თავის მოკვლა ისტორიულ-ეკონომიურის თვალ თ-საზრისით. 2) პროფ. ე. დ. ფურაკოვსკი: სულიერი სიღატაკე. 3) ა. ი. მალხაზოვი: თვით-მკვლელობის ნიმუშები მწერლობაში, (ანნა კარენინა, იური სვაროჩიჩი და ნაუმოვი). 4) ა. ს. ბაზოვი: სიცოცხლის ღირებულება და საზოგადოების სამსახური. 5) გ. ბ. გვაზავა: თვით-მკვლელობანი.
6. ხელოვნების განყოფილება: ქ-ნ კონსტანტინოვისა და ბ-ნ კაპანაკოვის მონაწილეობით. 7) დასასრული კამათი.
ადგილების ფასი შესაძლებლად დაკლებულია. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილ. 10—2 ს. და 6—10 საღ. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
(2—1030—2) ადმინისტრატორი ა. დოლიძე.

ტელეფონი № 862. ქართული თეატრი წარმოდგენა № 52 (8)
ოთხშაბათს, 2 თებერვალს, 1911 წ.
„ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის საბენეფისოდ"
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ბ. პ. რონელის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზედ:
## მეფე ივანე IV მრისხანე (ვასილისა მელენტიევა)
ისტ. დრ. 5 მოქ. ოსტროვსკისა, თარგმ. ა. ავალიშვილისა.
ვასილისა მელენტიევას როლს შეასრულებს ქ-ნ ბ. რონელი. მეფე ივანე მრისხანეს როლს—ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილი.
მონაწილეობენ: ქ-ნნი: ვიქტორველი, ლეჟავა, ლოლუა. რონელი ჩოლოყაშვილი, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: ალიქს -მესხიშვილი, შერიშვილი, გვარამე, ყ-ვიძე, მდივანი, მატარამე, მგალობლიშვილი, მაშფორია, ციციშვილი, მალიკაშვილი.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასები საბენეფისოა
ადმინისტ. ქართ. დრამ. საზოგ.-ბისა. რეჟისორი ვ. ს. ალექსი-მესხიშვილი. (2—1032—1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო
გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.
განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
ქაშნიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვერტიელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 500.
სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც. სამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:
ლამბაშიძე გ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.
გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.
გურჯი გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.
კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.
მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშ. 9—10 ს.
მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.
მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$ ს.
მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 12—1 ს.
ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.
პაპოვი გ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—$2^1/_2$ ს.
ხოსროევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.
სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.
რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მან. ითიდან დაწყებული ოპერაცი. კონსულტაცი., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. სამუასურით. (200—5.—384)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო
კარედან ყოველ დღე მისიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიაჯიანცისა, ტელეფონი № 698.
მ. გაზაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
შ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს.
ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
ა. ?—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.
არშ-ბაჯალოსხაშვილი ?. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.
ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50. კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წ.—6,—647)

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. კოლოლინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (ფ)

ექიმი შ. ა. მიქელაძე
იღებს შინაგან და ბავშვის სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის გაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი გ. ს. მუსხელიშვილი
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. გირონიის ქ. № 9. (ფ)

ექიმი კბილისა ნინო რუხილაძე
იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე. საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვისა ქ. N 2.


## ტფილისი, 1 თებერვალი

**ინგლისის პარლამენტი.** მცირე ხნის კრიზისის შემდეგ ინგლისის პარლამენტი კვლავ გაიხსნა. მეფემ გიორგი V თავის სეფე-სიტყვაში ბევრი საყურადღებო საკითხი აღძრა და აღნიშნა, თუ რაგვარი მუშაობა მოელის პარლამენტს ახლო მომავალში. ინგლისის პარლამენტი რთულ სოციალურ საკანონმდებლო მუშაობაში იყო გართული, როდესაც მოულოდნელმა შეტაკებამ ლორდთა პალატასთან ნორმალური კანონ-მდებლობა შეაჩერა და წინ პოლიტიკურ ხასიათის საკითხი წამოაყენა. პარლამენტი, მუშაობის განახლების შემდეგ, თქმა არ უნდა, კვლავ დაუბრუნდება ამ საკანონმდებლო მუშაობას, მაგრამ დღეს მაინც საჭირ-ბოროტო საკითხად ლორდთა პალატის უფლებების შეკვეცაა გადაქცეული.

ინგლისის პარლამენტი დიდი ხანია გრძნობდა ზედა-პალატის ზედგავლენას და ცდილობდა ეს გავლენა, რაც შეიძლება შეესუსტებინა. მაგრამ ასე კატეგორიულად საკითხი ლორდთა პალატის უფლებათა შეკვეცის შესახებ არას დროს არა ყოფილა დასმული ინგლისის ცხოვრებაში. დეკემბერში, როდესაც ლიბერალებმა და კონსერვატორებმა თათქმის ერთნაირი რიცხვი მიიღეს ხმებისა, ლიბერალურ მთავრობას მაინც ძალა ხელში შერჩა, რადგანაც მას ირლანდიელებსა და მუშებსაც დაუჭირეს მხარი. ლიბერალები მაშინ მტკიცე უმრავლესობას არ შეადგენდნენ, მაგრამ მაინც მიღებულ იქმნა რეზოლიუტიური წინადადება ლორდთა პალატის უფლებათა შემცირების გამო. მეორე არჩევნებით ინგლისმა ნდობა გამოუცხადა ასკვიტის ლიბერალურ სამინისტროს და ამით დაადასტურა მისი მოქმედების გეგმაც.

ამიტომ კანონ-პროექტი ლორდთა პალატის უფლებათა განსაზღვრისა უეჭველია ჩვეულებრივის საკანონმდებლო გზით გაივლის და კიდეც განხორციელდება.

საინტერესოა, როგორ მოიქცევა ამ შემთხვევაში თვით ლორდთა პალატა. დღემდის მას შეეძლო საბუთად ხალხის სურვილი მოეყვანა, მაგრამ ხალხმა ნდობა გამოუცხადა ასკვიტის ლიბერალურ სამინისტროს და ამით ლორდთა პალატის უფლებების შეზღუდვაც მოითხოვა. ამიტომ ლორდებს აღარავითარი საშუალება არა აქვთ ხალხის სურვილი დაიხვიონ ხელზე. ამას თვითონაც კარგათა გრძნობენ და კომპრომისის გზას ადგებიან. მაგრამ ხალხის ნდობით აღჭურვილი სამინისტრო კომპრომისს უარჰყოფს. ამის საპასუხოდ კონსერვატიული ნაწილი ლორდთა პალატისა აღნიშნავს, რომ უკეთეს პირობებში, ე. ი. თუ არჩევნებში გაიმარჯვება კონსერვატორებს დარჩებათ, ეხლა მიღებული კანონ-პროექტი ლორდთა პალატის უფლების შეზღუდვის გამო, გაუქმებული იქმნებაო. ეს განცხადება აშკარა მუქარად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ საეჭვოა, რომ ამ მუქარამაც გასჭრას. ინგლისის ხალხი და მთავრობა დაადგა მტკიცე გარდაწყვეტილებას ლორდთა პალატის უფლებათა შეზღუდვის შესახებ, და ამ გარდაწყვეტილებიდან არსაით არ გარდაუხვევს. ხანგრძლივმა საპარლამენტო ცხოვრებამ ნათლად დაუმტკიცა ინგლისელებს, რომ ლორდთა პალატა ისეთი დაწესებულებაა, რომელიც მშვიდობიან სოციალურ, პროგრესიულ კანონ-მდებლობას მხოლოდ აფერხებს და შემატებით კი არაფერსა ჰმატებს. ეს აზრი უკვე იმდენად პოპულიალურია ინგლისში, რომ ლორდების მუქარა ვეღარავისზე იმოქმედებს.

## ნარკვევი

ქალაქის გამგეობის ერთი წევრის არჩევის გამო ქართულმა ორშაბათის გაზეთმა „თემმაც" გამოსთქვა თავისი აზრი, უპირველეს ყოვლისა იგი ეხება იმას, თუ როგორ უყურებდნენ ამ საკითხს წინა არჩევნების დროს. მაშინ გადაწყვეტილი იყო, რომ გამგეობის წევრად აუცილებლად ქართველი აერჩიათ. დემოკრატიული ჯგუფი მაშინ მიემხრო საერთო აზრს და ჯაბადარის კანდიდატურას მხარი დაუჭირა. ეხლა კი.

საქმე ძალიან აიხლართა მხოლოდ იმის წყალობით, რომ საბჭოში მომქმედი, ეგრედწოდებული, დემოკრატიული ჯგუფი უცნაურად იქცევა და რაღაცნაირ პოლიტიკანობას იჩენს, მას ჰსურს დაამტკიცოს, რომ მიუდგომელი და მიუკერძოებელია, რომ იგი ყოველგარ ნაციონალისტობას აშორებულია, მაგრამ ამ გვარი ქცევით ის ვერც ფონს გადის და საქმესაც ახდენს.

ასეთი გზა გაზეთის შემცდარ გზად მიაჩნია, „პოლიტიკანობა ყველგან დასაძრახისია და მით უფრო იმისთანა საქმეში, როგორიც არის საქალაქო მეურნეობაო", ამბობს გაზეთი.

„ჯგუფს ერთის მხრივ ჰგონია, ამბობს „თემი" რომ დაიმსახურებს მიუდგომელ მოღვაწეთა გუნდის სახელს, რაკი ერთხელ ქართველი დაასახელა, მეორედ კი სომეხი; მეორეს მხრივ თავის კაცს აარჩევს გამგეობაში. თქმა არ უნდა, მიხეილ ჯაბარს ბევრი ხმოსანი, ჯგუფს გარეშე მყოფი, აგრეთვე მისცემს ხმას პირველად იმიტომ, რომ იგი მართლაც მშრომელი, პატიოსანი და საქალაქო საქმეების მცოდნეა მეორედ იმიტომ, რომ იგი სომეხია, რომელიც სომხებისაგან არ არის დასახელებული. აი, ის მოსაზრება, რომლითაც ხელმძღვანელობს დემოკრატიული ჯგუფი."

ასეთი პოზიცია გაზეთს ყალბ პოზიციად მიაჩნია და ურჩევს დემოკრატიულ ჯგუფს თავისი გარდაწყვეტილება გადასინჯოს. გაზეთ „თემს" აუცილებელ საჭიროებად არ მიაჩნია, რომ კანდიდატად უსათუოდ ქართველი იყოს დასახელებული, მაგრამ, რადგანაც ეს საკითხი მითქმა-მოთქმას იწვევს, ურჩევს ხმოსნებს ქართველი აირჩიონ გამგეობის წევრად.

„მან (ე. ი. ჯგუფს,)—სწერს „თემი",—უნდა გამოძებნოს ქართველებში ისეთი პირი, რომელიც დამოუკიდებელ პიროვნებად არის ცნობილი და მასთან ერთად საქალაქო საქმეების მცოდნეა. ჩვენ ამისთანა კანდიდატად, მიგვაჩნია გიორგი ჟურული, რომელიც ამ ჟამად ბათუმში ქალაქის თავის მოადგილეს თანამდებობას ასრულებს. ჩვენის აზრით ეს უცილობელი კანდიდატია და ამაზე უნდა შეჩერდეს ყველა, ვინც დაინტერესებულია ამ საქმეში. მლელვარება მოსპოს და საქალაქო საქმეების მსვლელობა წესიერ კალაპოტში ჩააყენოს.

ჩვენ მოვალედ ჩავსთვალეთ ყველა ეს გულახდილად და დაუფარავად წარმოგვეთქვა საჯაროდ."

## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან).

**თ-დი ვოლკონსკი** თავმჯდომარეობს. ლოთობასთან საბრძოლველ კანონ-პროექტს კამათობენ.

**ბუდ ?ტი** ლოთობასთან ბრძოლა ნაყოფიერი მაშინ იქმნება, როდესაც ხალხში განათლება მოეფინება და საზოგადოების შედგენის თავისუფლება გვექმნება. თუ სათათბიროსა და მთავრობასა მართლა სურთ ლოთობის მოსპობა, უნდა გადასწყვიტონ 10—15 წელიწადში არაყი სრულობით აღარ იყიდებოდეს. იგი შრომის ჯგუფის სახელით აცხადებს, კანონ-პროექტს შემოვიტანთ, რომ სახელმწიფო არყის გაყიდვა ყოველწლივ ერთის მეათედით კლებულობდეს.

**ზამარაევი** შორსმჭვრეტი თუ ლოთობის მოსპობა გინდა ხალხის გონება და გული სახარებით უნდა განვანათლოთ, ამისთვის რუსეთში საღვთო სჯულის წიგნები უნდა მოვფინოთ და სარწმუნოების თავისუფლება გამოვაცხადოთ.

**მაკლაკოვი** თუ არყის გაყიდვა წვრილ ჭურჭლით აღარ იქნება, ეს ლოთობას უფრო ხელს შეუწყობს.

**პრედკალნი** უნაყოფოა ლოთობის მავნებლობაზე ვილაპარაკოთ იმ სათათბიროს წევრებს, რომელიც უმთავრესად არყიდან მოგებულ ფულით ინახება. თუ ლოთობის მოსპობა გსურთ ოქტომბრისტებსა კი არ უნდა მივმართოთ, რომელთაც საკანონმდებლობით თუ აღმასრულებელი უფლებანი ხელში უდიათ, არამედ—სოციალ-დემოკრატებს: ვინაიდან ლოთობა მთავრობისა და ბურჟუაზიის ბოროტების კი არ შეადგენს, არამედ—გლეხობისა და მუშებისას. მთავრობა ხელს არ უნდა უშლიდეს გლეხებსა და მუშებს საამისოდ ორგანიზაციები მოაწყონ.

**სკოროხოდოვი** ტურხანისა და იაკუტსკის მხარეში მცხოვრებ ოხის მიდამოებში განგებ ავრცელებენ არაყსა და ლოთობას, რათა გროშის ფასად დასტყუონ ნადირთა ტყავები, მთის ხალხი უკან გაბრუნებისას ფულის ნაცვლად არაყს ეზიდება სახლისაკენ. ხშირად უკანასკნელ ტანისამოსსაც კი არაყში აგირავებენ. ორატორს უნაყოფოდ მიაჩნია მთავრობის მიმართ დაჩივლება და ხალხის ამორჩეულთა სთხოვს, ჩრდილოეთით მკვიდრნი ამ საშინელ გამათახსირებელ სენისაგან იხსნას. (ტაშის ცემა)

**ეპისკოპოსი მიტროფანე** რუსეთში ლოთობა საშინელის სისწრაფით ვრცელდება. ხალხის ამორჩეულთა მხარში უნდა ამოუდგნენ მთავრობასაც, თუ კი ლოთობასთან ბრძოლა მართლა ჰსურს. (ტაშის ცემა).

წინადადება შეაქვთ ორატორთა სიტყვა 10 წუთით განსაზღვრონ.

**ბარონი ჩერკასოვი** ფინანს. კომის. მომხსენებელი, ხელოვნურის ზომებით ამ ბოროტების აღმოფხვრა შეუძლებელია. ჯერ სნეულების ნიშანდობლივი თვისება და ფორმა უნდა შევისწავლოთ და ისე შევუდგეთ მის წამლობას.

**სოლდატენი.** ხალხის სიფხიზლე მხოლოდ მაშინ დამყარდება, როდესაც საყოველთაო სწავლის განხორციელებთ.

**ტიმოშკინის** აზრით მხოლოდ საყოველთაო საარჩევნო უფლებით არჩეული სათათბირო და ნდობით აღჭურვილი მთავრობა შესძლებენ ლოთობის წინააღმდეგ მისაღებ ზომათა შემუშავებას.

**ანდრონოვი.** უცხოეთის სახელმწიფოების გამოცდილებამ დაგვიმტკიცა, რომ ხელოვნურის და ძალდატანებითის ზომებით ვერას გახდნენ და ეს კანონ-პროექტი არსებითად ყალბ ნიადაგზეა აგებული. იგი მხოლოდ მაიმუნობას გაავრცელებს და არყის ჩუმად გაყიდვას ხელს შეუწყობს.

**მომხსენებელი ჩელიშევი** ბევრს ორატორი პირადის ინტერესებითაა გატაცებული, ანდრონი არყის მხლებელი იყო; ამერიკასა და შვეიცარიაში მაგარ სასმელების აკრძალვამ სასურველი ნაყოფიც გამოიღო.

**კუზმინ ხანდის** ხან თვითონ სააქციზო მოხელენი მონაწილენი არიან. (გამოტოვებულია). მხოლოდ საზოგადოების თვითმოქმედებას შეუძლიან ლოთობის შემცირება.

**ზუბჩენკო** არყის ჩუმად გაყიდვის ასალაგმავად, რაც შეიძლება მალე უნდა მივიღოთ ზომები.

**ფინანსთა მინისტრის ამხ. ნოვიცკი** დეპუტატ კუზმის მიმართავს- დაასახელეთ ის მოხელენი რომელნიც მექრთამეობენ, ხვალვე სამართალში მივსცემთ. წინააღმდეგ შემთხვე-

ვაში ასეთი განცხადება უსაფუძვლოდ მიმაჩნია (ტაში ცემა ცენტრში და მარჯვნივ).

კარიაკინი განათლებული ხალხი ხარჯების გადახდას ვეღარ შეისძლებს (ტაში ცემა).

ბაბიჟევსკი ლოთობის მოსასპობად ერთად-ერთი საშუალება ისაა, რომ სოფლებში არყის დუქნები დაიკეტოს.

საერთო კამათი დასრულდა.

თავმჯდომარეობის ადგილს გუჩკოვი იჭერს.

ჩელიშევი ფინანსთა მინისტრს უპასუხებს და აუარებელი საბუთები მოჰყავს.

ხმები: „კმარა".

ჩელიშევი. „კმარა იმათთვის, ვინც ხალხის ნაოფლარით იკვებება. ხოლო რუსის გლეხკაცობისათვის კი არა კმარა". ქვეყნის უბედურება იმაში კი არაა, რომ საკითხს თვით ხალხი ვერ გადასწყვეტს, არამედ იმაში, რომ ამ საქმეში დაინტერესებულნი ერევიან. ორატორის აზრით, პოლიტიკური პარტიები ამ საკითხს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ.

მომხსენებელი შეიდენდორფი თხოულობს კანონ-პროექტის მუხლებითი განხილვას შეუდგნენ.

ეს წინადადება ხმის უმეტესობით, 2 წინააღმდეგ, მიღებულია.

შემოსულ საქმეთა სიას აცხადებენ, მათ შორის, სემირეჩინში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დახმარების წინადადებას.

შემდეგი კრება 31 იანვარს მოხდება.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

## საზღვარ-გარედ.

30—31 იანვარი.

**ბუდაპეშტი.** უნგრეთის დელეგაცია. სამხედრო კომისიამ სამხედრო საჭიროებისათვის არა ჩვეულებრივი სესხი დაამტკიცა.

**პარიზი.** სენატმა, პალატისაგან მოწონებული შამპანიურ ვაზის ჯიშების გამოკვლევის კანონ-პროექტი მიიღო.

**ვაშინგტონი.** ოფიციალური ცნობა. მორგან შუსტერი, ფილიპინის კუნძულების საბაჟოების მომწესრიგებელი, სპარსეთის ხაზინის მთავარ დირექტორად ინიშნება.

**ურმია.** სოლდუზიდან ხორბლის გატანას ნებას აძლევენ მხოლოდ ოსმალეთის ჯარის საჭიროებისათვის.

**პარიზი.** მინისტრთა საბჭომ დაადგინა პალატაში კანონ-პროექტი შეიტანოს სანოვაგის მსყიდველ ჩარჩთა ასალაგმავად.

**სტამბოლი.** შინაგან საქმეთა მინისტრი ტალაატი სამსახურიდან გადადგა, რადგანაც პარლამენტის ფრაქციის უმრავლესობაში უთანხმოება ჩამოვარდა; მიზეზი სამინისტროს არქივის დაწვაა. მის ალაგას ფრაქციის უმრავლესობის წრის თავმჯდომარე ხალილ ბეი დაინიშნა.

**ჰააგა.** პირველი პალატა. სამხედრო ბიუჯეტის განხილვის დროს სამხედრო მინისტრმა ზღვის სანაპიროების გამაგრების თაობაზე განაცხადა, სანაპიროების დაცვის საქმე ისე უნდა მოვაგვაროთ, რომ ომიანობის დროს ჩვენს ნეიტრალურ მდგომარეობას საფრთხე არ მიელოდეს. ამსტერდამის შემაგრება ამ დღეებში დასრულდება.

**ურმია.** სოფელ ანგარას (ქრისტიანნი მოსახლეობენ), დეშტინის ქურთები ჰლამობენ დაეპატრონენ. მირზა-ახმედი თავის ამსონებით ქრისტიანთა სოფელ სირს გამაგრდა და ურმიაში თავხედად თარეშობს.

**ბრიუსელი.** მსოფლიო გამოფენაზე გერმანიის განყოფილების სასოფლო-სამეურნეოს განყოფილება ჩამოიქცა. ერთი მუშა მოჰკვდა და 7 დაშავდა.

**ლვოვი.** ნამესტნიკის ბრძანებით ზლოჩევში, გოგოლის სახელობაზე არსებული გიმნაზია, დაიკეტა. 31 რუსი მოსწავლე სკოლის გარეშ დარჩა. დაკეტვის მიზეზი ისაა, რომ მოსწავლეები რუსულ ენას და მწერლობას სწავლობდნენ.

**ბერლინი.** სტატს-სეკრეტარმა, დელბრიუკმა განაცხადა, გერმანიის კაპიტალში უცხოელთა თანხის გარევა პოლიტიკურად საჭიროა. რადგანაც გერმანიის მსოფლიო მდგომარეობა და მეგობრული დამოკიდებულობა სახელმწიფოებთა შორის ამას მოითხოვსო.

**ვენა.** ვენის ქალაქის თვით-მმართველობამ უარჰყო წინადადება, რომ ერთ-ერთ ქუჩისათვის ტოლსტოის სახელი დაერქმიათ.

**პარიზი.** ბრიანმა ლეფევრს სტატს-სეკრეტარის თანაშემწის ადგილზე მიიწვია. ლეფევრმა ბრიანს მოსთხოვა გარკვევა უფლებებისა და ბრიანთან შეუთანხმლობის გამო წინადადებაზე უარი სთქვა.

**გაიტის კონცხი.** მეამბოხეთა ორი გენერალი მთავრობას ხელში ჩაუვარდა. ორნივ დახვრიტეს.

**ათინა.** კრიტოსის საერო კრებამ საბერძნეთის პარლამენტს სალამი უძღვნა.

**სოფია.** სოფიის გიმნაზიის მასწავლებელთა და მოსწავლეთა ჯგუფი საალდგომოდ რუსეთში ჩამოვა.

**სოფია.** პეშევმა, ლიბერალთა პარტიის სახელით, განაცხადა, კონსტიტუციის განზრახულ ცვლილებებს ვემხრობით, ამასთანავე ვისურვებთ საყოველთაო საარჩევნო უფლება დაკანონდეს. დაარსდეს სამუშაო და ჰიგიენის სამინისტრო; კონსტიტუციის დარღვევისათვის მინისტრები სამართალში მისცენ ხოლმე.

ტეოდოროვი, ეროვნულ პარტიის ბელადი, მეფეს საერო კრების დაუდასტურებლად უფლება მიეცეს უცხო სახელმწიფოებთან ხელ-შეკრულობის დადებისა და ზოგიერთ საქმეების სამხედრო უწყებიდან სამოქალაქო უწყებას გადაეცეს. წინააღმდეგია, მინისტრთა ამხანაგების დაწესებისა და უპორტფელო მინისტრის დანიშვნისა. დანევი საერთოდ პროექტს ემხრობა, მხოლოდ მოითხოვს პროპორციონალურ წარმომადგენლობის შემოღებას და საერო კრების ნაწილობრივ განახლებას.

**სტამბოლი.** რუსის ელჩი ჩამოვიდა და თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

**ურმია.** ურმიის მონარქისტთა პარტიის მეთაური ჰუსსან-ჰუსედარი თავის თანა-შემწეებით გუბერნატორმა შეიპყრო და თავრიზს გაჰგზავნა.

**ისპაჰანი.** 29 იანვარს ჭაში იპოვეს რუსის ელჩის ბოგოიავლენსკის გვამი. იგი ცოლშვილიანი იყო და მეუღლე ისპაჰანში ჰყავს. ჯერ-ჯერობით დამტკიცდა, რომ განსვენებულს უძილობა სჭირდა და დილის 6½ საათზე ეზოში გაისეირნა, და 11 საათზე კი ჭაში იპოვნეს. რადგანაც ძალადობის კვალი არ აჩნია, ამიტომ ჰფიქრობენ, გაუფრთხილობით თუ ჩავარდა. სანამ გვამს არ გასჭრიან, გადაჭრით არაფრის თქმა არ შეიძლება.

**ასტარა.** არდებილის ოლქში ისევ გახშირდა ჰიალობერის და შახსევანების თავ-დასხმა რუსეთის სოფლებზე. ხმა დადის ფიდაიები აგულიანებენო.

## ფ რ ე ნ ა.

**ელპარაზო.** მფრინავი გამილტონი მექსიკის საზღვარზე გადაფრინდა. მიუხედავად გაფრთხილებისა, გამილტონი მაინც არ შეუშინდა სროლას და ხუარასო და მისი მიდამოები დაზვერა. თავისი გამოკვლევა ამერიკის საზღვრების ჯარს აუწყა.

**პარიზი.** გრონსენი პარიზზე ღამით დაფრინავდა.

## რ უ ს ე თ ი

**ლოძი,** ფარმაცევტთა საზოგადოების ბინის გაჩხრეკის დროს პრავალი წიგნი და გამოცემანი პოლიციამ წაიღო. 45 გაფიცული ფარმაცევტი დაატუსაღეს.

**კოტელნიჩი.** არყის დუქნების ფულის მომკრეფის მკვლელთ—დახლიდარ კალინინსა და პოლიტიკურ გადასახლებულთ ოსტროვსკისა და გილევიდაუს, მოსკოვის სამხედრო-სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭომ, საშუალო და დაბალ სკოლებში ბავშვთა გასართობ პოლკების დაწესებისათვის, საჭიროდ სცნო დაწვრილებით საკითხის გამოსაკვლევად საუწყებათაშორის კომისიის დაარსება.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ლიუბლინის რომის კათოლიკეთა ეპისკოპოს მოსთხოვა მღვდელი პანეცკის სამსახურიდან გადაყენება, რადგანაც 6 დეკემბერს ხელმწიფე-იმპერატორის დაბადების დღეს სამადლობელო პარაკლისი არ გადაიხადა.

**პეტერბურგი.** სინოდის სამოსწავლო კომიტეტმა დაადგინა, სასულიერო სემინარიების მოწაფეთ ალკოჰოლის მავნე თვისებებზე ლექციები უკითხონ. უფროს კლასის მოწაფეთ ნება მიეცეთ საქველმოქმედო და სიფხიზლის საზოგადოების დაწესებულებებში მონაწილეობა მიიღონ.

**ვარშავა.** გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით მარიამ ციხლიარეის ბინაზე დაარსებული სამლოცველო დაკეტეს.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭომ პროექტი—ვილენის და კოვენსკის და მოსკოვ-იაროსლავის რკინის გზის 1878 წლ. 5 პროც. ობლიგაციების მოსპობის თაობაზე მიიღო. სათათბიროს 40 წევრის წინადადება, პეტერბურგის ქალაქის ხმოსანთა არჩევანი საყოველთაო საარჩევნო უფლების თანახმად მოჰხდეს ხოლმე, უარჰყვეს.

**პეტერბურგი.** აპრილის დამლევს მადრიდში მე-9 მიწადმოქმედების საერთაშორისო კრება მოჰხდა.

## ჟ ა მ ი

**ხარბინი.** ოფიციალურის ცნობებით ჟამი უსურიის მხარეშიაც გაჩნდა.

**ბრიუსელი.** დეპუტატთა პალატაში, პუნიმ განაცხადა: რუსეთიდან მომავალ საერთაშორისო მატარებლებს ბელგიის საზღვარზე დეზინფექციას გაუკეთებენო.

**პეტერბურგი.** რათა კასპიის ზღვის მებადურეთა შორის ყირგიზიიდან ჟამი არ შემოიტანონ, გადასწყვიტეს სამი საექიმო-სანიტარული მზვერავი სადგურები დააწესონ.

**ხარბინი.** დღემდე ჟამით 1179 კაცი, მათ შორის 25 ევროპიელი, გარდაიცვალა.

# ბუტურლინის საქმე

**მოწ. შტეინბერგი:** ლასსი მევახშეების ოინების წყალობით დავალიანდა, ლასსიც ამ დასკვნას ემხრობა.

**ბრალმდებელი** ლასსის მის განმარტების გამო სხვა და სხვა შეკითხვებს აძლევს.

**ლასსი** უპასუხებს: პანჩენკო რომ ბუტურლინს შეშხაპუნებით სწამლობდა ვიცოდიო, მაგრამ ერთხელაც არ დავსწრებივარო. ბუტურლინი 9 მაისს არ მინახავს. პანჩენკოს კი კრინტიც არ დაუძრავს. მართალია, განსვენებულის გაპრის დროს პანჩენკოს წინაზე მივედი, მაგრამ მხოლოდ ავადმყოფის სიკვდილის მიზეზის გამოსაკითხავად და ამასთანავე მსურდა პანჩენკოსთან დამოკიდებულების კვალი მომესპო.

**ბრალმდებელი.** პანჩენკოსათვის რა სარფა უნდა ყოფილიყო ბუტურლინის მოწამვლაო.

**ბრალმდებელი.** რას ჰნიშნავს 2 მარტის ტელეგრამა: „ვცდ. [illegible] დაუყოვნებლივ გამომიგზავნეთ, დაუყოვნებლივ ავასრულებ".

**ლასსი.** მხოლოდ გულუბრყვილოდ შეუძლიათ წარმოიდგინონ, რომ აქ ბუტურლინის მიმართ ცუდი განზრახვაა. პანჩენკოს მხრივ ესეც ერთი შანტაჟისტობის მაგვარია, აი, როგორც წინად მოგახსენეთ წერილების თაობაზე.

**ლასსი.** ამგვარ მოსაზრებებზე საქმის დამყარება მეტად საჩოთიროა.

**ბრალმდებელი.** ბარათები მხოლოდ სასამართლოში რად მოგაგონდათ, ან რა შინაარსისა იყო?

**ლასსი** გარკვეულ პასუხს არ იძლევა და წერილების შინაარსის გამომჟღავნებაზე უარს ამბობს, რადგანაც მანდილოსნის მონაწერი გახლავთო.

**პანჩენკო.** „მართალია კრონშტადტში საწამლავისათვის გახლდით, მაგრამ მე და ლასსი ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიის გახსნას ვაპირებდით. ლასსისთან სრულებითაც არა ვშანტაჟისტობდი. 9 მაისს ლასსი ვილნოდან ჩამოვიდა, მე სადგურზე დავხვდი. ლასსიმ ბუტურლინის ავადმყოფობა ჩემგან გაიგო და ამიტომ მთხოვა: „თუ ღმერთი გრწამს, ბუტურლინი გასინჯე და მისს ავადმყოფობაზე მაუწყეო". როდესაც ავადმყოფი ვინახულე, შევნიშნე, რომ ბუტურლინს თავის ხელით სპერმინი შეეშხაპუნებინა, ამის გამო მარცხენა საჯდომზე იარა ჰქონდა. განსვენებული მარწმუნებდა, შეშხაპუნება არ მომეხდინაო, მაგრამ ვეჭვობ. იმავე დღეს ლასსი ვინახულე და გავუმჟღავნე: „ბუტურლინს სისხლი აქვს მოწამლული მეთქი". ლასსიმ აღმოთქვა ბუტურლინს ვნახავო. დატუსაღებამდე თავი დამნაშავედ არ მიცვნია, თორემ გაქცევას და დამალვას მოვახერხებდი. გამომძიებელს თუ ყალბი ჩვენება მიეცი და თავი „დამნაშავედ" ვიცანი, ეს მხოლოდ, იმიტომ რომ მოწადინებული ვყავი და ვარ—მხოლოდ მე დავისაჯო. ლასსის წინააღმდეგ შანტაჟისტობისათვის არ მიმართავს, არც ვინმე მანდილოსანი ურევია ჩვენს ურთიერთ დამოკიდებულობაში.

გამომძიებელს არა ერთხელ ვსთხოვე კოგანისათვის ჩემის თანადასწრებით გამოეკითხა, მაგრამ არ შეიწყნარაო. შესაძლებელია ბუტურლინი ჩემი დაუდევრობით მოიწამლა, მაგრამ მისი სიკვდილი კოგანის ბრალია.

საღამოს სხდომას ლასსის მოვალეების საჩივრებს იხილავენ.

პინსკის სასამართლოს გამომძიებელს ლასსის დავალიანებაზე სხვა და სხვა ცნობებს ეკითხებიან.

**დამც. ტრახტარევი** 27 იანვ. სხდომაზე სასამართლოს პანჩენკოს სთხოვს

# ქართულის თეატრის განახლება

„მახინჯი", დრამა 4 მოქმედებად ბ. შიუკაშვილისა, ქუთაისის დრამატიულის დასის მიერ წარმოდგენილი.

III

(დასასრული)

ამ ღირსეულმა ნაწარმოებმა სრულიად შესაფერისი აღმასრულებელი მოიპოვა ქუთაისის ქართულ დრამატიულ დასში. ნიჭიერ არტისტთა ჯგუფი, შრომა და მუყაითობა პიესების რიგიანი არჩევანი ყოველივე ეს ჰქმნის მას, რომ ქუთაისის ქართული წარმოდგენები ნამდვილად მხატვრული წარმოდგენებია. ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენის სცენის ღარიბ მოწყობილობას ეგრეთ წოდებულის mise en scène-ის სილატაკეს, რომელიც ხელს უშლის გარეგან ეფექტების გამოწვევას, თქვენ მიჰხვდებით, თუ რა სულიერი ძალა და შინაარსია ამ წარმოდგენებში, თუ იგი გარეგანის ხერხის გარეშეც დიდ შთაბეჭდილებას იწვევს მაყურებელში.

პირველი უებარი დამსახურება ქუთაისის დასისა ის იყო, რომ მთელი პიესა თავიდან ბოლომდე ჩინებულად იყო აღსრულებული. აქ არც მეორე ხარისხოვანი როლი იყო, არც მეორე ხარისხოვანი აღმასრულებელი, აქ ყველას თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი და ყველა თავისს როლს ჩინებულად და რიგიანად ასრულებდა.

ხოლო ეს იმას სრულიადაც არა ჰნიშნავს, რომ ერთი მეორეზე უკეთესი არა ყოფილიყოს, ეს მარტო იმასა ჰნიშნავს რომ თვით უმნიშვნელო როლის აღმასრულებელი მაყურებლის მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი იყო.

პირველი ადგილი, რასაკვირველია, ჩხეიძის ქალს ეჭირა. გულახდილად, უნდა ვსთქვათ რომ ჩხეიძის ქალი თავმოსაწონი მსახიობია და არა ერთ სცენას დაამშვენებდა იგი. როდესაც ჩხეიძის ქალი სცენაზე გამოდის, მის ნაზსა და მშვენიერ სახეზე აღბეჭდილია ხოლმე მთელი უბედურება ადამიანის ცხოვრებისა, მისი ბედის წერა, მისი ტანჯვა-ვაება. როცა სონას როლში ჩხეიძის ქალი გამოვიდა, დარბაზში უთუოდ ყველამ იგრძნო, რომ ამ ღრმა გრძნობიერ ადამიანს თავისს სუსტის მხრებით თან მოაქვს მთელი ტრაგიზმი კაცის, ადამიანის ბედ-იღბლისა, მთელი შავ-ბედი, მთელი სევდა და კვნესა, რომელიც თან სდევს ჩვენს ცხოვრებასა, მის შემოსვლასთან ერთად თითქო სცენაზე ადამიანის გრძნობათა და ვნებათა ბრძოლის დრამატიზმის განხორციელება გამოჩნდა. გარწმუნებთ, ჩხეიძის ქალს, რომ უცხო გვარი ჰქონდეს ყურები გამოჭედილი გვექნებოდა მისი ქებითა და დიდებით, მაგრამ ჩვენ არა თუ საზოგადოებრივად, სულიერად დამონებულნი და დაბეჩავებულნი ვართ. თეთრისა და შავის ძვლის, წმინდა და მღვრიე სისხლის თეორია შეთვისებული გვაქვს და ვერ წარმოგვიდგენია, თუ ჩვენისთანა დაჩაგრულს, დაგლახავებულს და გათახსირებულს ხალხს შეეძლოს ესოდენ დიდის ნიჭით მოსილი მწერალი, ანა და სასიქადულო ტალანტით აღჭურვილი მსახიობი. ჩვენ გვეშინია ჩვენი რამე ვაქოთ, რაიმე მოვიწონოთ, ეს ხომ ცუდის კილოს ცუდი ტონის გამომხატველი იქნება.

ჩხეიძის ქალმა, როგორც მაღალ ნიჭიერმა ადამიანმა ნაწარმოები თავისებურად ახსნა და სონას სახეში დაგვიხატა, ნამდვილი ბედის კლანჭებში ჩავარდნილი საბრალო არსება. მისი სულის განწყობილება, ყოველი მისი მიხვრა-მოხვრა ესდენ მოდუნებული, ესდენ სიცოცხლე გამოლეული, წინდაწინვე გვაჩვენებდა, რომ „ბედისაგან ჩაწიხლული" იყო. მშვენივრად შეეგნო ჩხეიძის ქალს სონას საბედისწერო ხასიათი: ნების სისუსტე, ფიზიოლოგიურ ინსტინქტთა (ალღოს) სიძაბუნე. იგი როგორც მანეკინი ხვედრის განკარგულებაში იყო და სადაც მიატრიალებდა ბედი, იქით მიბრუნდებოდა. უფრო მხატვრულად განხორციელება ამ სახისა ყოვლად შეუძლებელია და ჩვენის აზრით ბ. შიუკაშვილის დრამის სახელს ხელი შეუწყეს ქუთაისის არტისტებმა და მათში—ჩხეიძის ქალმა. მე უკვე მოვიხსენიე ის ადგილი დრამისა, სადაც „ბედის წიხლისაგან" გათელილი, სულითა და გულით დაღუპული სონა უკანასკნელ წერტილზეა და მახინჯ საბას კლანჭებში გაბმული, როცა მახლობლები ეთხოვებიან, ასე გეგონებათ მკვდარს საუკუნოდ ემშვიდებიანო და ჩხეიძის ქალიც ამ წუთებში სწორედ მკვდარ პატარძალსა ჰგავდა, საქორწილო ტანისამოსში მორთულს. მთელი მისი არსება ნათლად გვიხატავდა თვალწინ, რომ სიკვდილის შემზარავს ხელს უკვე ცელი გამოუწოდებია მის თავზე და რამდენიმე წუთის შემდეგ მის სამეუფოში გადავა და ამ ქვეყანას განეყრება.

არა ნაკლები დამსახურება მიუძღვის პიესის განმარტებაში ბ. იმედაშვილს, მეორე ნიჭიერ მსახიობს ქუთაისის დასისას, ბ. იმედაშვილი ახალგაზდა არტისტია, მაგრამ საკმაო საბუთები მოგვცა თავისის ნიჭისა. ყოველივე ხელს უწყობს, ჩვენს სცენაზე პირველ ხარისხოვანის არტისტის ადგილი დაიჭიროს. სწორედ ჩინებული არტისტია. იმედაშვილი, სიცოცხლით სავსე, ცეცხლის მფრქვეველი, გატაცებული ვნებით, ენერგიითა და ძალღონით შემკული, გრძნობით აღჭურვილი, შრომის მოყვარეობით დაჯილდოებული. ყოველივე როლში შეაქვს რაღაც გამოურკვეველი ჯადოსნური ძალა, რაღაც მომხიბვლელი სევდიანობა და ცივი ირონია, თავდავიწყებულ გმირულს სულს უდგამს ზოგიერთს როლსა. პირველად ბ. იმედაშვილი დათოს („ლალატი") როლში ვნახე და საუცხოო, წარმტაცი აღმასრულებელი იყო ამ როლისა. მაშინ კიდევ ბ. იმედაშვილი ჩრდილში იდგა, ეხლა კი საყვარელი არტისტია ჩვენის თეატრისა. კარლოს 9 („პანრი ნავარიელში") ბ. იმედაშვილის გამოსახულებით ისეთი იყო, როგორც წარმოგვიდგენია ისტორიულის მასალებისა და ზოგჯერ დიუმას რომანების შემწეობითაც: სულით ნახევრად დაავადმყოფებული, წუთიერის შთაბეჭდილების მონა, თავდავიწყებული მორჩილი თავისის ვნებისა, მარკუს ვინიტი („ვიდრე ხვალ უფალო"). იმედაშვილის ხელში გატაცებული მიჯნურია, უებრო ტრიბუნია მშვენიერის გრძნობით აღსავსე მეგობარია პეტრონიუსისა. გლუხოვცევი („დღენი ჩვენის ცხოვრებისა") ბ. იმედაშვილმა ნამდვილ რუსის სტუდენტად დაგვიხატა, მაღალის გრძნობის აღსავსედ, მაგრამ საზოგადო წყობილებისაგან წელში გაწყვეტილ მონად, რომელსაც თავის დასავიწყებელ იარაღად გამოუგონია არაყი და არაყს შემდეგ გულის მოსაფხანად ცრემლები. ბ. იმედაშვილმა საბას როლში, ურწმუნონიც კი დააჯერა, რომ ნიჭით მიმადლებული არტისტია. საბას სახეში მან დაგვიხატა მთელი სიმკაცრე და სისასტიკე ბოროტებისა, მთელი სიმძაფრე მხეცურ ინსტინქტთა აღვირ-წახსნილობისა და დაგვისურათა ის საშინელება, რომელიც თან სდევს ადამიანის ძირითად ინსტინქტთა უსაზღვრო წყურვილის დაუკმაყოფილებლობას. ყოველივე მისი გამარჯვებული ხარხარი, ჯოჯოხეთის კბილთა ღრჭენას მოგაგონებდათ, ყოველი მისი ხელის განძრევა აფთრის კლანჭებს გიყენებდათ თვალწინ და ყოველივე მისი სიტყვა და საქციელი გაგრძნობინებდათ სიმწვავეს გახურებულის შანთებისას, რომელითაც უნდა გასრესილიყო უმანკო და უბიწო სუსტი ქმნილება. ყოველივე მისი მოძრაობა შიშის ჟრუანტელს აგიტეხდათ და ზიზღით გავსებდათ, თავზარსა გცემდათ ყოველივე მისი შეხედვა. ბ. იმედაშვილს, ბუნებით უხვად დაჯილდოვებულს; აქვს ერთი რამ კიდევ, რაც ბევრ ჩვენს სახელოვან არტისტს აკლია: შრომის უნარი, როლის შესწავლა, საქმეში მუყაითობა. ვიწინასწარმეტყველებთ, თუ არ მოიღლება, თუ არ მობეზრდება ეს სიმხნევე და ერთგულება საქმისა სახარბიელო ადგილს დაიჭერს ჩვენს სცენაზე. საბას სრულიად ღირსეული პარტნერი იყო, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ მისი დარეჯანის როლის აღმასრულებელი, დოდაბერიძის ქალი. სიმახინჯე გაბატონებული, კაცობრიობის შურის მაძიებელი თავისი საზიზღრობის გამოყოფილი ადამიანის შემძულებელი—ამგვარი დარეჯანი დაგვიხატა დოდაბერიძის ქალმა. დარეჯანისთვით (დოდაბერიძის ქალის აღსრულებაში) ტარტაროზული ხარხარი იყო სიცილის მაგიერი, სიბრაზით აღსავსე კბილების კრაჭუნი—ღიმილის მაგიერი და გააფთრებული ტუჩების კვნეტა—თავისებურის ალერსის ნაცვალი, როცა გამხეცებულ საბას, სონას ჯერ კიდევ თბილ გვამს ჩამოაშორებს ეს სულით და ხორცით მახინჯი და მასში ერთგვარად იღვიძებს დედაკაცის თავმოყვარეობა და კვდება, გაბოროტებულ ადამიანის მხიარულება, რომ ადამიანმა საწადელს ვერ მიაღწია, თუ გინდ ეს ადამიანი ღვიძლი ძმაც იყოს, და ეს ორნაირი განწყობილება დოდაბერიძის ქალმა დიდის შეგნებით გადმოგვცა.

უბრალო, მარტივის სულის კვეთების ბეჩავი არსება, ბედისაგან ნიადაგ ჩაწიხლული, ვირის საპალნის ქვეშ წელ გაწყვეტილი მოხელე, თომა ბ. კორიშელის ხელში გადაიქცა ნამდვილ ტანჯვა-ვაების სადა, მაგრამ ღრმა გამომსახველი, ნიადაგ თავში ნაცემი, ნიადაგ მდგომარეობის მონა—იგი მაინც ადამიანია და როცა მთელის მისის ადამიანის ღირსებით წინ აღემართება საბა მახინჯს და მის წინაშე ქედ-მაღლადა სდგას, ჩვენ თაყვანისცემასა ვგრძნობთ, „ამ ოხერის ბედისაგან" გაქელილის ადამიანის წინაშე და სასიამოვნო ადამიანის სიამაყის თრთოლვა გვივლის სულსა და გულში. ბ. კორიშელმა ამ ადგილში ნამდვილ ტრაგედიულ პაფოსს მიაღწია და მისმა გატაცებულმა თამაშმა სიამოვნების ცრემლები მოგვგვარა, სიამოვნებისა, რომელიც ხელოვნებამ დაჰბადა დ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლიენტის ფიზიკური და გონებრივი მდგომარეობა ექსპერტებმა შეამოწმონ. ვინაიდან პანჩენკოს ავადმყოფად სთვლის. სასამართლო პანჩენკოს მხოლოდ ფიზიკურ შემოწმებაზე სთანხმდება.

გამოუცხადებელ მოწმეთა ჩვენებებს კითხულობენ; ამ მოწმეთა უმრავლესობა ლასსის ბნელ საქმეებისა, აფერისტ კაცად ახასიათებს. ლასსი თურმე, თურქესტანში ყოფნის დროს, კონტრაბანდისტობდა.

**მოწმე იაზონსკის** არა სჯერა, რომ ლასსის ამ გვარი ბოროტ-განზრახულება ჩაედინოს.

**მოწმე კონსტანტინოვი**, მომრიგებელ-მოსამართლედ ნამყოფი, ლასსი მკაცრი კაცია, მისგან ყველაფერია მოსალოდნელი. მან არა ერთი გააკოტრა.

**ბრალდებულის** ამხანაგის მოთხოვნილებისამებრ, ხალხის დაუსწრებლად, ლასსის წერილებსა კითხულობენ.

ამავე დროს პანჩენკოს ფიზიკურ მდგომარეობის შემოწმებას შეუდგნენ

**მოწ. დურნოვო** ვილნოს რკინის გზის ნაუფროსალი; ლასსის თამასუქზე ხელს ვუწერდი, მაგრამ მათი გაცვლა მევე მიხდებოდა. ლასსის 100,000 მან. მართებს, მაგრამ წინანდებურად ვენდობი, მიუხედავად იმისა, რომ მისი წყალობით ჯამაგირსაც კი მიქვითავდნენ.

**მოწმე ბრიკი**, პეტერბურგის „ევროპეისკაია გოსტინიცას“ გამგე, ლასსის სასტუმროს ვალი 8,200 მან. დაედო და ისე წავიდა რომ არ გადაუხდია. პინსკიდან ბარგი მოითხოვა და მისს შემდეგ ჩვენს სასტუმროში აღარ ჩამომხტარა.

ექსპერტებმა, საექიმო აკადემიის პროფესორი, კოროვინმა, ჩისტოვიჩმა და კოსოროტოვმა დაასკვნეს, პანჩენკოს ჯანმრთელობა უფრო ცუდია, ვინემ მისს ასაკში მყოფს შეჰფერის, ხოლო სიბერით გამოწვეული დაჩამჩამება არ ეტყობაო.

**ჩისტოვიჩმა** კი განაცხადა, უპსიხიატრის გამოცდით ძნელია ამისი ნიშნების შევამჩნიოთო.

**მოწმე ხოლტიკოვი**, ლასსის ცოლის დეიდაშვილი, წარსულ წლის აპრილს ლასსიმ ღენერალის ანდერძზე ჩამომიგდო ლაპარაკი და დასძინა: „თუ შვილი თავაზიანად არ მომექცა, მაშინ სულ ვერაფერს მიიღებს“. ჩემს შეკითხვაზე, თუ რა გზით ჰფიქრობდა თავის ნათქვამის აღსრულებას, ლასსიმ სიტყვა ბანზე აუგდო. ლასსისთან შეხვედრამდე მისი ცოლი პირველ ქმართან კეთილ განწყობილებაში იყო; ცოლ-ქმრის გაყრაც ლასსის მეოხებით მოჰხდა. ჩვენ, ნათესავებმა, ლასსის ჯვრის წერამდე ვიცოდით მისი ნივთიერი დაქვეითება. ლასსის ცოლზე დიდი გავლენა ჰქონდა.

**ლასსი**. ღენერლის ასული ფულის ანგარებით არ შემირთავს, თუმცა ვიცოდი რომ ღენერალმა თავისი ქონება, ანდერძით, შვილებს თანაბრად გაუყო. ბოლოს დროს ღენერალი აპირებდა მთელი საცხოვრებელი ჩემს დახლართულ საქმეებისთვის მოეხმარებინა

სასამართლო ღენერალ ბუტურლინის შეეკითხა: ლასსის ნათქვამი თქვენს განძრახვაზე მართალია, თუ არაო?

**ღენერალ ბუტურლინი**: ლასსის განცხადება გიჟისაგანაა მხოლოდ მოსალოდნელი და ჩემი თავი, მაგვარ, პიროვნებად არ მიმაჩნია.

**მოწმე ქალბ. მერი სალჰნაიას** ჩვენებას კითხულობენ (არ გამოცხადებულა), ღენერლის საქმეების ერთ-ერთი ვექილთაგანია, საიდანაც სჩანს, რომ მას ღენერლისთვის რჩევა მიუცია, ქალიშვილი ობრიენ დელასსისათვის არ მიეთხოვებინა. ქალბ. სალჰნაიასი ლასსის 3500 მან. ჰმართებია. განსვენებულის პანაშვიდებზე და დამარხვის დროს მოწმე გაუკვირვებია იმას, რომ ლასსი დერეფანში იჯდა და ცხედრის ახლო გავლას ერიდებოდა.

**მოწმე გრუზლევსკი**, ლასსის სიყრმის მეგობარი, მუცლის წახდენაზე ლასსიმ მართალი სთქვა. ლასსიმ, ბუტურლინის ასულს შერთვამდე, მომმართა და მსთხოვა ექიმ-სპეციალისტზე მიმეთითებინა, მეც ჩემის მხრივ მეგობარ რაპგოფს გავაცანი. ჩემის რწმენით ლასსი პანჩენკოს შანტაჟის მსხვერპლია. ბუტურლინის გარდაცვალების 2 თვის წინად, სპერმინის შეშხაპუნებით პანჩენკომ სხვა ავადმყოფი მოჰწამლა. პანჩენკო დრეიდენის საშვალებით ბანკირს ედანოვს ჰშანტაჟებდა. მოწმე პანჩენკოსა და დრეიდენს ძლიერ ცუდის მხრივ ახასიათებს.

**მოწმე მელნიკოვი**, კნორის მემამულე და ლასსის მეზობელი, სასამართლოში ერთხელაც არაფერი ითქვა იმ პირებზე, რომელთა ოინითაა ლასსის დამნაშავედ ჩათვლა... ეს ვილნოს კომისიონერები გახლავთ.

**თავმჯდომარე** ეგ საიდან იცით?

**მელნიკოვმა**. მე ასე მგონია.

**მოწმე ხოკოლოვი**, ნაფიც ვექილის თანაშემწე, ვილენის „მოსაქმენი“ ლასსის საქმის შედეგს სკეპტიკურად უყურებენ. პირადად, მე უდანაშაულოდ ვსთვლი და სასამართლომ რომ დასაჯოს, ლასსის მაინც პატიოსან პირად ჩავთვლი და სასამართლოს განაჩენს კი—შეცდომად.

შემდეგი მოწმეებიც ლასსის სასარგებლოდ აჩვენებენ.

---

## ხვალინდელ ნომერში ექვსი გვერდია.

## სახაზინო თეატრში

**დღეს, 1 თებერვალს დანიშნულია სახალხო კითხვა**

## „სიცოცხლის ღირებულება“

(თავის მოკვლაზე)

**დაწვრილებით იხილეთ პირველს გვერდზე.**

(1—1030—1)

---

**მოწმე სვეშნიკოვი**: ლასსის გემთასაამშენებლო ქარხანა პირველად კარგად სწარმოებდა, მაგრამ შემდეგ, როდესაც ზღვათა სამინისტრომ აღარაფერი შეუკვეთა, ლასსის საქმეები უკან წავიდა. ამის გარდა ლასსიმ დიდძალ ფული ინგლისელ კაპიტალისტა საქმეებში წააგო.

**მოწმე იანევი**, ლასსის მზარეული, ლასსის კარგ ადამიანად ახასიათებს.

**მოწმე ქალის ზაგდინსკის-დგორჟეცკის**. ჩვენებას აქვეყნებენ, რომელიც ლასსის გაიძვერა და ორ-პირა კაცად სთვლის დარომლის ოცნება გამდიდრება იყო. პეტერბურგში ბუტურლინის დასაფლავებაზე ლასსის სუყველა დამნაშავედ სთვლიდაო.

**მოწმე ბუივიდი**, იმ სახლის მეეზოვე, რომელშიაც ქალბ. მერი სალჰნოი სცხოვრობს, ვილნოში პანჩენკო მერი სალჰნოის სამჯერ ესტუმრა.

**სასამართლოს** ერთი წევრთაგანი მოითხოვს, რომ ლასსის ცოლის მიერ დამცველი მოწმეებისათვის ფულის დარიგების თაობაზე ბუივოდი ხელმეორედ შეეკითხონ.

**ბუივოდი**. პეტერბურგში ჩამოსასვლელად ფული მივიღე.

თავმჯდომარის შეკითხვაზე ლასსი აცხადებს — დამცველებმა მითხრეს, რომ ცოლის დამცველი მოწმეებისათვის საგზაოდ ფული დაეგზავნაო.

**დამცველების შეკითხვაზე**. აცხადებს, ფული ბრალდების მხრივ ღარიბ მოწმეებსაც გაეგზავნა, მაგრამ სახელდობრ ვის არ ვიციო.

**მოწ. მარეიკა** ვილნოს მაძებარ პოლიციის ზედამხედველი, ჩვენებას აქვეყნებენ, რომლიდანაც სჩანს, რომ ლასსის ვილნოს მამულის რკინის გზისათვის გაყიდვაზე მოლაპარაკება არ ჰქონია. ბუივოდისაგან მაქვს გაგონილი, რომ სალნაიას პანჩენკო ნახულობდა ხოლმე.

---

# სტუდენტების მოძრაობა

**დეპეშა**

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან

**ხარკოვი**. უნივერსიტეტში შესდგა კრება, რომელმაც გაფიცვა გამოაცხადა. პოლიციამ შეადგინა სია სტუდენტების ერთი ნაწილისა.

**კიევი**. უნივერსიტეტში ძალიან ცოტა მსმენელია. ზოგიერთი ლექციები ვერ შესდგა, რადგანაც გაფიცულებმა ხელი შეუშალეს. ზოგ პროფესორს, ლექციების კითხვის დროს, პოლიცია იცავდა.

**ვარშავა**. უნივერსიტეტის ვესტიბიულში ორასმა სტუდენტმა კრება გამართა. წაკითხულ იქმნა წინდაწინვე დამზადებული რეზოლიუცია გაფიცვის გამოცხადების შესახებ. კრების შემდეგ ლექციებს გაცილებით მეტი სტუდენტობა დაესწრო.

—

სტუდენტთა მოძრაობის შესახებ „რუსკ. სლოვო“ შემდეგს ცნობებს გადმოგვცემს: დილიდანვე პეტერბურგის უნივერსიტეტში მრავალმა სტუდენტობამ იწყო თავის მოყრა. შესავალ კარებთან ყველას შესასვლელ ბილეთსა სთხოვდნენ. ვისაც ეს ბილეთი არ აღმოაჩნდებოდა, უნივერსიტეტში არ უშვებდნენ. შუადღის 12 საათიდანვე უნივერსიტეტში სტუდენტების რიცხვი 2,000 უწევდა. ლექციები თავისდაკვალობაზე მიმდინარეობს, მაგრამ მსმენელნი ძალიან ნაკლებად ესწრებიან. უნივერსიტეტის ეზოში მრავალ სტუდენტობას მოეყარა თავი. კედლებზე მრავალი განცხადები გაიკრა სხვა და სხვა სტუდენტების ჯგუფებიდან. კოალიციონური კომიტეტი სტუდენტობას მოუწოდებს ერთის სემესტრით გაფიცვას. სხვა ჯგუფები კი ურჩევენ მხოლოდ ორი კვირით გაიფიცნენ, ნიშნად პროტესტისა. პირველ საათზე უნივერსიტეტის ყველა ნაწილში ფურცლები მოჰფინეს, რითაც მოუწოდებენ სტუდენტებს მეორე დღის პირველ საათზე კრებაზე დასასწრებლად. ამ დროს ამხანაგებმა ერთი სტუდენტი მაღლა ასწიეს, ყველა გაჩუმდა. ხელზე აწეულმა სტუდენტმა რეზოლიუცია წაიკითხა, რომელიც აუწყებდა მთელ შემოდგომის სემესტრის განმავლობაში გაფიცვის გამოცხადებას.

უკამათოდ და უსიტყვებოდ ამ რეზოლიუციას კენჭი უყარეს. მხოლოდ შვიდმა სტუდენტმა შავი კენჭი მისცა. კენჭის ყრის შემდეგ სტუდენტობა სიმღერით დაიშალა. ზოგიერთი ჯგუფები აუდიტორიაში შეიჭრნენ და სადაც ლექციებს კითხულობდნენ, შეაწყვეტინეს. ერთი ამისთანა ჯგუფი მრავალ-რიცხოვან მსმენელთა აუდიტორიაში შეიჭრა. პროფესორი მ. ი. პერგამენტი კითხულობდა ლექციას. ერთმა სტუდენტმა დადგენილება წაიკითხა და პროფესორს წინადადება მისცა ლექციის კითხვა შეეწყვიტა. პროფესორმა მიმართა სტუდენტობას: ვისაც არ უნდა ლექცია მოისმინოს, გარედ გავიდესო. ასტყდა ყიჟინა და აურზაური. პროფესორის მიმართ გაისმა შეურაცხმყოფელი სიტყვები. აღელვებულმა პროფესორმა აუდიტორიას თავი დაანება. სტუდენტების ხანმოკლე თათბირი გაიმართა. თათბირის გათავებისას, უნივერსიტეტის რექტორი და პროფესორი შემოვიდნენ აუდიტორიაში და სტუდენტობას დაუყოვნებლივ დაშლასა სთხოვდნენ.

ორის ნახევარზე უნივერსიტეტს პოლიცია და ჯარი შემოერტყა და ბოქაულის განკარგულებით მთავარ-გამოსასვლელის გარდა ყველა კარები დაჰკეტეს და უნივერსიტეტში არავის არ უშვებდნენ. პოლიცია უნივერსიტეტში არ შესულა, მაგრამ გამოსულ სტუდენტებს პოლიციელის წრეში გაატარებდნენ ხოლმე. რამდენიმე სტუდენტი აქვე დააპატიმრეს. დაპატიმრებულთა რიცხვი მცირეა.

—

უმაღლეს ქალთა კურსებზე გამოცხადებულ იქმნა ასეთივე რეზოლიუცია.

—

სამ საათის დასაწყისზე, ლექციების შეწყვეტის შემდეგ, სააქტო დარბაზში მრავალმა მსმენელმა ქალმა მოიყარა თავი—რიცხვით ათას-ხუთასამდე. ერთმა რეზოლიუცია წაიკითხა, რომელიც ხმის უმრავლესობით იქმნა მიღებული. მხოლოდ სამი ქალი აღმოჩნდა მოწინააღმდეგე. კრება ხუთ წუთს გაგრძელდა.

ამ დროს ერთ აუდიტორიაში ლექცია უნდა დაწყებულიყო. პროფესორმა მხოლოდ ერთ მსმენელი ქალი დაინახა და ჰკითხა, ჰსურთ თუ არა მოუსმინოს ლექციას. ქალმა თანხმობა განაცხადა და პროფესორმა ლექცია განაგრძო.

რეზოლიუციის წაკითხვის შემდეგ სხვა ლექციები არ შემდგარა.

—

ქალთა საექიმო ინსტიტუტში დადგენილი იყო, კრება არ გაემართათ, ხოლო გაფიცვის საკითხი რეფერენდუმის საშუალებით გადაეწყვიტათ ორის დღის განმავლობაში. დაბოლოს ხმის უმრავლესობით გამოცხადდა გაფიცვა.

—

ტეხნიკურ ინსტიტუტში გაფიცვის საკითხი ფარულ კენჭის ყრით გადასწყდება.

—

როგორც **კიევიდან** იტყობინებიან „გოლოს მოსკვი“-ს, გაუჩხრეკიათ და დაუპატიმრებიათ მრავალი სტუდენტი და მსმენელი ქალი.

—

**ოდესაში** გამორიცხულთა რიცხვი სტუდენტებისა ას-ოცამდეა.

---

# ახალი ამბები

**ტფილისი**

+ კვირას, 30 იანვარს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქმნა **პანაშვიდი** განსვენებულ დეკანოზის დავით ღამბაშიძის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს ხალხი ბლომად დაესწრო.

+ კვირას, 30 ნოემბერს, ტფ. **საბჭოს ხმოსანთა კერძო თათბირი** მოჰხდა. ქალაქის გამგეობის წევრის არჩევნების თაობაზე. წამოყენებულ იქმნა ბათუმის ქალაქის მოურავის მოადგილის გ. დ. ჟურულის კანდიდატურა, რომელსაც ხმოსანთა დიდმა რიცხვმა მისცა ხმა.

---

ცრემლები, რომელიც ნანახის სინამდვილის სჯვდამ გამოიწვია. ბ. კორიშელს მთელი როლი ყოველის თავისის წვრილმანით სავსებით შესწავლა და მოსაწონარის თანდათანობით განავითარა მთელი სულიერი დრამა ამ ბედისაგან მოძულებულის ადამიანისა, რომელიც ნამდვილი გმირი და რაინდი იყო დაფლეთილ მოხელის მუნდირში გახვეული.

აქაც ღირსეული პარტნიორი ბ. კორიშელისა ივანიძის ქალი გამოდგა, რომელიც თომას ცოლის დარიას როლს ასრულებდა*) „საცოდავი დედა და მეუღლე, რომლის გრძნობათა სინაზე მომხიბვლელია და წარმტაცი, რომლის გული ზღვაა, რომლის სადა გარეგნობა მალავს უმაღლეს გულს, კარგად შეასრულა ივანიძის ქალმა. უსიცოცხლო, გამოფიტული უგულო და უსულო მაკრო ბ. ბარველის ხელში სიმბოლიურ ტიპად გარდაიქცა და რაღაც უცნაურის დამღუპველის და დამასახიჩრებულის ინდიფერენტიზმის გამომსახველი შეიქმნა. ბ. ბარველი ერთობ დაკვირვებული არტისტია. ჩვენ არ გვინახავს არც ერთ როლში, რომ თავისებურობა არ ეტყობოდეს, არა სცდილობდეს თავისებურად შეიგნოს და ახსნას როლი. შრომა და მუყაითობა ეს უცნობი ხილი ჩვენის ძველის სცენისათვის ეხლა ჩვეულებრივ მოვლენად არის გადაქცეული და ეს მშვენიერი თვისება ამკობს ბ. ბარველსაც, ა. გძელიძეს, თვით უმნიშვნელო როლი ბარველის ხელში ხორცსა ეს-ხამს და მკაფიო სახეს ღებულობს,

გიორგი გიმნაზისტი, თომას შვილი ჩინებულად გადმოგვცა ბ. ავტალიდიმ. ეს შკოლისაგან დამახინჯებული გრძნობიერი ბავშვი დიდის სიმპატიით შემოსა ბ. ავტალიდიმ, მისი გამოთხოვება სონასთან ხელოვნური იყო გრძნობით აღსავსე და ერთგვარის ვაებით ავსებდა უიმისოდაც გულის გამგმირავ სურათს ადამიანის უბედურებისას.

**ბ. ყალაბეგაშვილის**. ერთ ერთი საუკეთესო წარმომადგენელია ახალის ტიპის ჩვენის მსახიობისა: მშრომელი, ჯაფის ამტანი, ყოველ როლს შეისწავლის ხოლმე და ყოველ როლის აღბეჭდავს მაყურებელის თვალში, ყოველივე როლს გაგებულად და ჩინებულად ასრულებს. ილიკო მორბელაძესაც ღირსეული აღმასრულებელი აღმოუჩნდა ბ. ყალაბეგაშვილის სახეში. თუმცა ეს მომქმედი პირი. ავტორის სიმპატიებით დაჯილდოებული, ყველაზე უფრო სუსტი გამოუვიდა ბ. შიუკაშვილს და შეიძლება იმიტომ, რომ მწერალმა თავისი ტენდენციები მოახვია თავზე.

უფერულია თვით ნაწარმოებში მარო ილიკოს ცოლი და ამისდა შესაფერისად აღასრულა **თამარაშვილის ქალმა**. ეს მსახიობი საზოგადოდ ცქრიალა, ცოცხალი არტისტია. მშვენიერი ხმა აქვს (სასიმღერო) და საზოგადოდ დასაფასებელია ჩვენის სცენისათვის.

ბ. მურუსიძე. საზოგადო ანსამბლს ხელს უწყობდა ზოგიერთ ადგილში გატაცებულადაც თამაშობდა. ვასო მენაბდე ძალიან საინტერესო პიროვნება, რამდენად ავტორის ხელოვნება მაღლადა სდგას მის ფილოსოფიაზე აქედანაც სჩანს. ვასოც უმაღლესი განათლების მიმდევარია (სტუდენტი) მაგრამ ყველა ალტაცებაში მოჰყავს (არა თუ თომა და დარია თვით ილიკო და მაროც, რომელნიც ისე ალმაცერად უყურებენ სტუდენტებს). თვით ვასო ფიზიკურად ჯან-საღი მშვენიერი არსებისა, გონებით განვითარებული და ილიკოსაც კვერს უკრავს „დიპლომოსნების“ გამათრახებაში. ვასო ისეთ სტუდენტთა ჯგუფს ეკუთვნის, რომელთა „ნაყოფიერება“ უეჭველია. რასაკვირველია, ყოვლის შემმუსვრელ ბედს ისიც ვერ გაუმკლავდა და იმ წუთიდან რაც საბედისწერო „კლანპები“ ჩაუჭერს სონას და იმ ადამიანებს, რომელნიც სონასთან რაიმენაირად დაახლოებულნი არიან, ვისაც პაიკის როლს ასრულებს, და იმ ადგილს იჭერს, რომელსაც მიუჩენს მას ან სონა ან საბა, ერთის მხრივ ბედისგან დამორჩილებული, მეორეს მხრით თვით ბედის მახვილი და იარაღი. ჩვენის აზრით ბ. მურუსიძემ ვერ შემოსა ეს ტიპი, ეს მომქმედი პირი იმ ტრაგედიულის სამოსლით, რომელშიაც გახვეულია ამ ნაწარმოებში გამოსახული ცხოვრება და ადამიანები. ჩვენის აზრით ბ. მურუსიძემ ვასოს როლში სავსებით ვერ გაიგო სტილი და კილო პიესისა. მაგრამ მისგან დახატული ვასო მენაბდე მაინც არ დაუკოდლებია საზოგადო მიმართულობა წარმოდგენისა, ამით იმის თქმა გვინდა, რომ ასეთ საუცხოო აღმასრულებელთა შორის, ბ. მურუსიძე სუსტად გვეჩვენა, თორემ თავისთავად არ იყო ურიგო თუ ბ. მურუსიძესთანა აღმასრულებელს ვასოს როლისას ჩვენ თითქმის წუნსა ვსდებთ, ეს იმის მაჩვენებელია მარტო, რა სიმაღლემდის მიაღწიეს ქართველ არტისტებმა როლების მხატვრულ გამოსახულებაში. მართლაც იყო სონასთან, როგორც ჩხეიძის ქალი იყო, ასეთ საბასთან როგორიც იყო ბ. იმედაშვილი, ისეთ თომასთან, როგორიც კორიშელმა დაგვიყენა თვალწინ, ისეთ მაკროსთან, რომელიც ბ. ბარველმა დაგვიხატა და ისეთ დარეჯანთან, როგორიც იყო ლოლაბერიძის ქალი ბ. მურუსიძისაგან ვასოს როლის ასრულება სუსტად უნდა გვეჩვენებოდა. თორემ ბ. მურუსიძე პიესის სხვაგვარ წარმოდგენაში უსათუოდ მოსაწონებელი იქმნებოდა. მაინც და მაინც ბ. მურუსიძეც ძლიერ სასარგებლო ახალ გაზდა არტისტია, რამოდენიმე როლში, რომლებშიაც ჩვენ ისა ვნახეთ უნარს იჩენს და იმდენად ისეთს ატმოსფერაში, როგორიც დღეს ქუთაისის სცენაზე არის გაბატონებული მისი არტისტიული ნიჭი განვითარდება.

სცენის ხელოვნების „ძველის შეხედულების“ მიხედვით როლი ფილიპესი და მზარეულის საბას მოსამსახურეების—უმნიშვნელოდ იქმნებოდა აღიარებული. ამ წარმოდგენაში კი გამოცდილ მსახიობი თ. დადიანსა და ბ. არაბიძეს ჰქონდათ მინდობილი ეს როლები. რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ამგვარ განაწილებას როლებისას საერთო მხატვრულის შთაბეჭდილების გამოსაწვევად—ეს ნათლად გამოჩნდა „სამახინჯის“ მეორე წარმოდგენაზე, როცა მზარეულის როლი რეჟისორს შალვა დადიანის მაგიერ, ვილაც „სცენის მოყვარესთვის“ მიენდო, როლის უშნოდ ასრულებამ პიესა თითქო კბილ ჩავარდნილად მოგვაჩვენა და ჩვეულებრივად უმნიშვნელოდ მიჩნეულმა მომქმედმა პირმა შთაბეჭდილების მხატვრული მთლიანობა გააფუჭა.

ქუთაისის დრამატიულის დასის დასახასიათებლად მე სამაგალითო წარმოდგენა ავიღე ნიმუშად, მაგრამ მარტო ეს ერთი კი არ ყოფილა მხატვრულის ანსამბლის დაცვით წარმოდგენილი. მინდოდა ორიგინალურ პიესისთვის მიმექცია ყურადღება და იქ დამენახვებინა დღევანდელი მიმართულება ჩვენის სასცენო ხელოვნებისა, თორემ ქუთაისის დასის სასახელოდ ისეთი რთული პიესები აღასრულეს ამ სეზონში მხატვრულად და მწყობრად, რომ ყოველ ჩვენ კულტურის მოამაგეს, საფუძვლიანი იმედი მიეცა ჩვენის თეატრის აყვავებისა. საკმარისია გავიხსენოთ გორკის „უკანასკნელნი“, რომელიც როგორც პიესა მეტად უფერულია, მაგრამ ანსამბლის „სიმწიფის“ გამოსაცდელად კი საუკეთესოა სწორედ თვით ხმ უფერულობის მიზეზით. როცა პიესა ისეთი უგემურია, როგორც გორკის ეს ნაწერები და დასი მაინც დიდ შთაბეჭდილებას იწვევს მაყურებელში. ეს მარტო დასის ღირსებების მომასწავებელია. ეს იმას გვაჩვენებს, რომ არტისტებმა უხეირო პიესაში იმდენი ნიჭი და ენერგია შეიტანეს, იმდენი „თავისი“ პირადი შეიტანეს, რომ პიესის ნაკლულევანება დაგვავიწყეს, ამ საუკეთესო წარმოდგენათა შორის უნდა ჩაითვალოს ლ. ანდრეევის „დღენი ჩვენის ცხოვრებისა“ და ორი წარმოდგენა ბ. მესხიშვილის საგასტროლოდ მოწყობილი: „ვიდრე ხვალ უფალო“? და „ლევან ბატონიშვილი.“

ყველა იმ ღირსებებში, რომლებითაც შემკულია დღევანდელი ქუთაისის წარმოდგენები დიდი ღვაწლი მიუძღვის რეჟისორებს მათ შორის ბ. ქორიძეს, უეჭველია სცენაზედ ახალის სულის განმტკიცებაში ბ. ქორიძეს მეთაურობა ეკუთვნის. თანაც ბ. ქორიძე ერთობ გამოსადეგი არტისტია სცენაზედ და მისგან ასრულებული „ჰანრი ნავარიელი“ გვიმტკიცებს, რამდენი შეუძლია გამოცდილებას და ცოდნას, თუგინდ არტისტიულის ნიჭით დაჯილდოებული არ იყოს მსახიობი.

გულითადი მადლობის ღირსია ყველა, ვინც კი რაიმე გვარად ხელს უწყობს ჩვენის სასცენო ხელოვნების აღდგენას და განახლებას და მით სასოებას გვნერგავს ჩვენის თეატრის ბრწყინვალე მომავლისას. ამგვარი მადლობის ღირსია ყველაზედ უწინ ქუთაისის დრამატიული კომიტეტი, რომელიც ყოველ ღონესა ხმარობს სცენას თავისი დიდი მნიშვნელობა დაუმკვიდროს. მაგრამ ამისათვის დიდი საშუალებაა საჭირო და თუ საზოგადოებამ ახლაც გულგრილობა გამოიჩინა, ვერ გაიმართლებს თავს, იმ გვარის ლათაიებით, რომ ქართულ წარმოდგენაში ადამიანი როგორ წაისვლებაო, არტისტებმა როლები არ იციან, უშინაარსო პიესებს გვიჩვენებენ და სხვაო. ქუთაისის ქართული წარმოდგენები, ერთხელ კიდევ ვიტყვი დაიკმაყოფილებს საზოგადოებაზედ უფრო დიდის გემოვნების მქონებელსაც.

**კოტე ახაშიძე.**

*) ეს როლი მეორეჯერ ანდრონიკაშვილის ქალმა შეასრულა, ჩვენის აზრით ივანიძის ქალი ამ როლისთვის პირდაპირ ზედ გამოჭრილია, თუმცა ანდრონიკაშვილის ქალი თავის თავად დიდად სასარგებლო მსახიობია

✦ ხვალ 2 თებერვალს, ქართულს თეატრში გაიმართება ბენეფისი ნიჭიერ მსახიობის ვლ. მესხიშვილისა. წარმოდგენილ იქმნება „მეფე ივანე IV მრისხანე".

✦ დღეს სახაზინო თეატრში საუბარი გაიმართება „ხიცოცხლის ღირებულობის" შესახებ. საუბარში მონაწილეობას იღებენ: პროფესორი ჟურაკოვსკი, ნაფიცი ვექილი გ. ბ. გვაზავა, ბ-ნი ანდრეევი, ა. ს. ბაბოვი და ლექტორი მალხაზოვი.

✦ ტფ. პირველ სავაჟო გიმნაზიის დირექტორმა ი. გამყრელიძემ ამ თანამდებობას თავი დაანება.

✦ მოსკოვში მცხოვრებმა ქალმა ვ. ი. ქანანოვისამ 35,000 მან. გადასდო ეჩმიაძინში პედაგოგიურ მუზეუმის დასაარსებლად.

✦ პარიზის ოპერის არტისტი მიშელ დარიალი (მ. ი. ნახოშვილი), რომელიც სახაზინო თეატრის სცენაზე ორჯელ გამოვიდა, ამ ჟამად მიწვეულია საქველმოქმედო საღამოებში მონაწილეობის მისაღებად, რომელნიც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართება: 2 თებერვალს —ბაქოში, 5 —ბათომში და 6-ს—ქუთაისში. დაბრუნების შემდეგ არტისტი ერთს და უკანასკნელს კონცერტს გამართავს ქართულს თეატრში 9 თებერვალს.

✦ როგორც მკითხველებმა იციან, ნოვოჩერკასისა და ტფილისის ციხეებში მრავალი სომეხია დაპატიმრებული „დაშნაკცუთუნ"-ის პარტიის საქმის გამო. გამოძიება უკვე დამთავრდა და დაპატიმრებულთა უმრავლესობას თავდებით ანთავისუფლებენ.

✦ ტფ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა 200 მან. სტიპენდია დაუნიშნოს ტფ. რეალურ სასწავლებელში კურს დამთავრებულთ დონდაროვსა და ბაშინჯაგიანს, რომელნიც ამ ჟამად უმაღლეს სასწავლებელში სწავლობენ.

✦ 13 თებერვალს ტფ. სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების წევრთა საერთო კრება მოხდება საზოგადოების 1908—9 და 10 წლის მოქმედების განსახილველად.

29 იანვარს ტფილისში უეცრად გარდაიცვალა მცხეთის მცხოვრები იოსებ ივანეს ძე იაშვილი.

✦ ტფ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, „რაზიეზჟი" ქუჩას ტოლსტოის ქუჩა დაარქვან.

✦ გუშინ ტფ. ოლქის სასამართლომ გაარჩია „ნოვაია რეჩ"-ის რედაქტორის რ. ბებიაშვილის ორი საქმე. პირველ საქმის გამო სასამართლოში იყო მიცემული სასჯელთა დებულების მეორე მუხლის მე-1024 მუხლის ძალით ამ გაზეთში სატახტო გაზეთ „რეჩ"-იდან წერილის გადმობეჭდვისთვის ამ სათაურით „მამა ვოსტორგოვი". სასამართლომ ბრალდებულს 3 დღით დაპატიმრება და 10 მან. ჯარიმება მიუსაჯა. მეორე საქმე, რომლის გამოც იგივე რედაქტორი სასჯელთა დებულების მე-1039 მუხლის ძალით იყო სამართალში მიცემული, სხვა დროისთვის გადაიდო, თანახმად ბრალდებულის შუამდგომლობისა.

✦ როგორც ყაზანიდან გვატყობინებენ იქაურ უნივერსიტეტში იანვრის 15-ში უკვე დასრულებულა უკანასკნელი სახელმწიფო გამოცდა სტუდენტი ურისტებისა. ამ წელს ყაზანში სწავლა დაამთავრეს და შესაფერი მოწმობებიც მიიღეს ნ. აზიკურაშვილმა, ე. გაბუნიამ, დ. მონასელიძემ და ია ეკალაძეციციშვილმა...

✦ შარშან კობის ერთკლასთან სამრევლო სკოლის შენობა შეკეთებულ იქმნა. ამ საქმისთვის ფული გაიღეს: კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ—300 მან., ადგილობრივმა ეკლესიამ—100 მან., ადგილობრივმა სასოფლო საზოგადოებამ—100 მან. მოიჯარადრემ შენობის გადაკეთება დაასრულა, მაგრამ, თანახმად ხელშეკრულობისა სკოლის შენობას ჯერ არ აბარებს, რადგან დღემდე არ მიუღია თავისი ფული. კარგი იქმნება სკოლის საამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარე ამ საქმეს მოაგვარებდეს, რაც შეიძლება, ჩქარა, რადგან მასწავლებელი იძულებულია 85 მოსწავლეთ კერძო სახლში ასწავლოს.

✦ ს. გელისციხეში. 15 იანვარს ს. გელისციხეში სოფლის ამორჩეულმა პირებმა შეიპყრეს ერთი კაცი ქურდობაში, თავზე ტომარა ჩამოაცვეს და დაუწყეს ცემა. ნაცემი ქურდობაში გამოტყდა. პატიება ითხოვა, ხალხმაც აპატია, მაგრამ სამაგიეროდ ფული გადაახდევინა.

✦ 30 იანვარს ტფილისში შეიპყრეს 33 უპასპორტო.

### ქ უ თ ა ი ს ი

✦ ქართული გიმნაზია. დიდს მატერიალურ გაჭირვებას განიცდის იმ მიზეზით, რომ საადგილ-მამულო ბანკმა შესწყვიტა სასწავლებლის შესანახი ფულის ძლევა, თანახმად ფინანსთა მინისტრის მოწერილობისა. თავად-აზნაურობის წარმომადგენლებმა რამდენჯერმე აღძრეს შუამდგომლობა მინისტრის წინაშე ავანსების გაცემის შესახებ ბანკიდგან გიმნაზიის შესანახად, მაგრამ არც ერთხელ არ შეიწყნარა მინისტრმა შუამდგომლობა. ამ წლის იანვრიდგან ფულის ძლევა ბანკმა შესწყვიტა, და გიმნაზიის ადმინისტრაცია ველარ უძლევს მიმდინარე, აუცილებელ საჭირო ხარჯს.

ამის გამო 30 ამ თვეს თავადაზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელის თ-დ დავით ნიჟარაძის მოწოდებით შესდგება კრება, რომელზედაც გარდა წინამძღოლებისა და დეპუტატებისა, დაესწრებიან, გიმნაზიის სამზრუნველო კომიტეტი, პედაგოგიური საბჭოს წევრნი, საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტისა და გამგეობის წევრნი.

✦ ქალაქის საბჭომ შეშის შესაძენად გადასდო 1000 მანეთი. ეს შეშა ნასყიდობის ფასად დაურიგდეს შეუძლებელს ნაწილს ქალაქის მცხოვრებლებისას.

✦ 21 იანვარს დანიშნული იყო ნაფიც ვექილთა ბ-ნ კვირკელიასი და ჯაფარიძის საქმე. საქმის დაწყებამდის ვექილთა მეცადინეობით, ეს საქმე გადაეცა საამხანაგო სამართალს. მოსამართლეებად ბ-ნ კვირკელიას მხრივ დასახელებული არიან თ-დი მექი ფაღავა და ალ. საყვარელიძე, ს. ჯაფარიძის მხრივ—ნიკ. ელიავა და იას. ბაქრაძე. ესენი თავმჯდომარეს აირჩევენ და საქმის განხილვას შეუდგებიან.

## ქუთაისის ამბები

დიდ თოვლობამ დიდ გაჭირვებაში ჩააგდო ქუთაისი. უგზოობისა გამო სოფლებიდან ველარაფერი შემოუტანიათ. ყველაფერი მამასისხლად გახდა. ქათამი ეხლა—2 მანეთი ღირს. სიმინდის ფქვილი ფუთი—რვა აბაზი, კვერცხები—აბაზად 6—7; ხორცი გირვანქა 15—17 კაპ., პური პირველი ხარისხისა—14, მეორე—13 და მესამე—11 კ. ბოჭკა წყალი 1 მანეთიდან 50 კაპეიკამდე, და არის ადგილები, სადაც იძულებულნი არიან თოვლიადნონ და ასე წყალი სვან. შეშა ხომ ქალაქში სრულიად აღარ მოიპოვება და თუ არის ისიც „ცეცხლის ფასცა", როგორც აქ ამბობენ. საჟენი შეშა 60 მანეთად ფასობს. ფუთობითაც ჰყიდიან, ფუთი წყლით გაჟღენთილი ჯირკებისა ღირს—30—40 კაპ. ამასთან, რასაკვირველია, კარგი ფასი აქვს სახლების გადმოთოვლვას და სოფლელებმა მხოლოდ ამ საქმეს მოჰკიდეს ხელი. არც გასაკვირია, რადგანაც ყოველი მათგანი დღეში 7—8 მანეთს იშოვნის. ყოველ დღე სჭირდება სახლებს გადმოთოვლა, რადგანაც ერთი დღის დანათოვიც საკმარისია, რომ სახლს ზიანი მიაყენოს.

რა ამბავი იქნება ასეთი თოვლის ზვავი რომ დადნება. მაშინ ხომ წარღვნის მსგავს სურათებსა ვნახავთ? მაგრამ ჩვენი ქალაქის მამები ამაზედ არა ფიქრობენ! აბა, რად ესაჭიროებათ მათ ცაგება თუ რა ხდება გარშემო. ისინი გართული არიან არჩევნებით, ინტრიგებით, და საერთო საქმე კი—ხალხის დაფარვა, გაჭირვებისაგან დახსნა მათ არ ეპიტნავებათ. მაშინ, როდესაც ბათუმის ქალაქის თავი ტელეგრამით ატყობინებს ნამესტნიკს ქალაქის გაჭირვებას, თუმცა ბათუმი ბევრად უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე ქუთაისი, ქუთაისის მამები „ჯკენკობანას" თამაშობენ და რომ ეს თამაში შემდეგშიაც ასიამოვნებდეთ, ქალაქის თავის არჩევნებს სიგისოდ სდებენ. მზრუნველობაც ასეთი უნდა! ნუ თუ ქალაქის თავს არ შეუძლია მოაწყოს მარხილები ამ თოვლის ქალაქ გარედ გასატანად. ბევრი, ბევრი თვეში დაჯდეს 4,000—5,000 მანეთი, მით უმეტეს, რომ ქალაქს ყავს ცხენები და რომელი მოქალაქე არ გადიხდის 1—2 მანეთს. აქ კი 40,000 მცხოვრებია. ხთ.—ლი.

### † ალექსანდრა (საშა) ჩაჩანიძე-გაჩეჩილაძისა ხსოვნას
(ნეკროლოგი)

25 იანვარს შავმა მიწამ მიიბარეს ჯერ კიდევ სიცოცხლით და ჯან-ღონით სავსე დაუღალავი მშრომელი ქალი ალექსანდრა (საშა) ჩაჩანიძე გაჩეჩილაძისა, დის სამწუხაროდ ჩვენთვის ისეთი ადამიანის წუთის სოფლის მოწყვეტა და ცივ სამარეს მიბარება, როგორც იყო საშა. საშა ეს ერთი მოწინავე მშრომელი ქალთაგანი იყო, რომელიც მონაწილეობას იღებდა უთვალავ საზოგადო საქმეებში.

ის დაუღალავად ემსახურებოდა სასცენო ხელოვნებას—ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ მასწავლებლობას. ამ ორ ფრიად მნიშვნელოვან და სიმპატიურ მოღვაწეობას ის დიდი ენერგიით ეკიდებოდა და დიდსულოვნად ასრულებდა. გარდა ამ ორი მოღვაწეობისა საშა არც სხვა საზოგადო საქმეზე იხევდა უკან და თუ სადმე შემთხვევა დარჩებოდა მხურვალე მონაწილეობას იღებდა. არა ერთხელ და ორჯელ დამტკბარა ფოთის ქართველი საზოგადოება საშას კოხტა მოხდენილი თამაშით.

ის იყო ერთად ერთი დამამშვენებელი ფოთის ქართული სცენისა.

საშას მწარედ დასტირის ფოთის ქართველი სცენა, მწარედ დასტირის ნორჩი თაობა და ჩვენც მუშები, როგორც მატოსანს ადამიანს შენში დაგვკარგეთ გულ-წრფელი, გულ-კეთილი, გულ-შემატკივარი, კეთ-მოსურნე და გამრჯელი მასწავლებელი.

უდროვოდ სიკვდილმა მოგწყვიტა საყვარელ გულის ტოლს, უძვირფასესი ერთად ერთ შვილს შეიდს კაცს, ტოლ-მეგობრებს ამხანაგთ მეგობრებს და ცივი სამარისაკენ გაგამგზავრა. მაგრამ შენი კეთილი გული, შენი შრომა დაუწდი უკვდავი რჩება ფოთის მცხოვრებ მუშების უმრავლესობისათვის.

ახ.-ამ. მაიდნელი.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში ამ ჩემ მცირე წერილს.

გასულ თვის 15 იანვარს დავასრულე რა სწავლა ყაზანის უნივერსიტეტში და დავუბრუნდი რა სამშობლოში მოვალედ ვრაცხ ჩემ თავს ულრმესი მადლობა გამოვუცხადო ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას თავის დროზე სტიპენდიის დანიშნისათვის. ვსთხოვ აღნიშნულ გამგეობის ამიერიდან სტიპენდია იგი ჩემგან განთავისუფლებულად იგულვოს.

ულრმეს მადლობას ვუძღვნი აგრეთვე, იმ კერძო პირთ, საზოგადოებათ და დაწესებულებათ, რომელთაც არა ერთხელ და ორჯელ აღმომიჩინეს დახმარება ამ ოთხი წლის განმავლობაში. მათი სახელი და გვარი გამოცხადებულ იქნება მაშინ, როცა შევუდგები ჩემი ვალების გადახდას და შეძლებისა და გვარად წარვადგენ ხოლმე ფულს ქართულ რედაქციებში.

31 იანვარი 1911 წ. ქ. ტფილისი

ია ეკალაძე—ციციშვილი.


## განცხადებანი

### დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ექ ი მ ი ნ ი:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
ყ. მ. ჩიქოვანი: $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ა. ბაბანასოვი: 10—11 ს. საშვილოსნო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულიანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ადეიშვილი (?): 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. მ. კარამურზიანცი: 1—$1^1/_2$ ს. შინაგან. და ბავშვთა.
ბ. გ. ავანესოვი: $1^1/_2$—2 ს. შინაგან. და ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ქალ. ექ. ბ. ს. ზილბერმანი: 6—8 ს. ხაზებ., ქალ. და ბავშ. ავად.
თ. მ. მელიქ-ბეგლიარი: 6—$6^1/_2$ ს. საშვილოსნო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. ფ. მარცეშვილი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 სათ. 606 წამლობა
კონსულტაციურად

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

### სპეციალური
### სამკურნალო
კანისა, ვენერიულის და ათაშანგის სნეულებათა.

გოლოვინის პროსპ. ქ. N 9, ვარანცოვის ძეგლის მახლობლად.

ავადმყოფებს ყოველ დღე მიიღებენ ექიმები გ. ა. გედევანი და ი. მ. ზაბლუდოვსკი 1—5 საათამდე და საღ. 7 ნახ.—8 ნახ. მანდილოსანთა და ბავშვთა იღება 4—5 საათამდე, ანალიზები, შეზვევა, ძიძათა მოსამსახურეთა და მუშათა შემოწმება.

მეხვლის ფასი—40 კ. კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

ერლიხ-ხატას პრეპარატით 606 წამლობა, ელექტრონით წერილი. (0—6—21)

მიმდინარე წლის 30 დეკემბრიდან
გ ა ი ხ ს ნ ა
მუხრანსკის ახალი კერძო
### სამკურნალო
მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цициановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ნ. მ. ახპახოვი—(მედ. ექ.), ყურისა, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.
გ. ა. აბელერდოვი—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.
ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებან. დილის 10—11 საათ.
ტ. ი. გეორგ-ბეგიანი—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.
ქ. ა. გონიევი—ბავშვთა სნეულ. (სამშ., ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.
ა ი. გრიგორიანი—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.
ი. გ. კალმიკაროვი—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.
ა. ი. კატანიანი—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.
მ. დ. კილოსანიძე—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.
გ. ა. მელქონიანი—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.
ტ ნ. ტერ-ნერსესოვი—ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606"-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—5 (0—5—20)

### ზაქარია ჟდანოვისა
### და ამხ.

საბანკო სახლი

● ს-პეტერბურგი, ნევის პროსპ. 45. ●
● ყოველგვარი საბანკო საქმე ●

მეტ ნილ თანხაზე ვადაზე იძლევა წელიწადზე ზემოდ—$6^3/_4$ სარგებელს, 12 თვით—$6^1/_2$, 6 თვით—6, მიმდინარე ანგარიშით—5 სარგებელს.

განსაკუთრებული შეღავათი
ვადით მეტანილ ფულის სარგებელს წინ დაწინავე იძლევიან.

3 თვისას—წ; ლიწადზე მეტის ვადისაზე
2 — 12 თვისაზე
1 — 6 თვისაზე

ყველა აზრადიათა პროსპექტები უფასოდ, მასუხი პირველი ფოსტით იგზავნება. Метцль 20749. (2—1033—1)

## თანამშრომელთა საყურადღებოდ

რედაქცია აცხადებს, რომ დაუბეჭდავი წვრილი წერილები, კორესპონდენციები, მოთხრობები და ლექსები სრულიად არ ინახება და მათს შესახებ არავითარ მიწერ-მოწერასაც არა ჰმართავს ავტორებთან. ერთის თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. ამიტომ ყოველ შეკითხვას პატარა წერილების დაბეჭდვის თაობაზე უპასუხოდ დავტოვებთ.

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფოთიდგან მიწოდებისა.

### სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ
### ძმ. ძეგველოვების
### ● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

### ✦ ახალ-ახალი ✦
### ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).
### ხიზილალა
ახალი (Зернистая).

ბარკისა და კოლოფებით

საუკეთესო ლოშები და ზურგიელები
### მიღებულია ფვინის ორაგული (სიომგა)

მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა გირვანქა 1 მან. და წითელი ხიზილალა (Кетовая). 50 კ. 60 კ. გირ.

აგრეთვე ივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები. (წ—128—91)

ერთად-ერთი საწყობი ფოთიდგან მიწოდებისა.

სუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

რადგანაც საოცრად იზრდება თანხის
ტრიალი
### ზაქარია ჟდანოვის
საბანკო სახლისა ს. პეტერბურგში, ისი პატრონი
შთამომ. საპატიო მოქალაქე ზაქარია პეტრეს ძე ჟდანოვი,
იძულებულია თავისი საქმე ამხანაგობად გადააქციოს შემდეგის ფირმით:
### ს ა ბ ა ნ კ ო ს ა ხ ლ ი
### ზაქარია ჟდანოვი და ამხ.
ს-პეტერბურგში, ნევის პროსპ. 45.

დეპეშით მისამართი: Петербургъ Банкжданъ. ტელეფონი: 451—29, 87—81, 88—28, 152—24 და ს-პეტ. საფონდო ბირჟაზე—117—22.

საბანკო სახლი, როგორც ადგილობრივ, ისე პროვინციელ კლიენტების შემდეგ საქმეებს აწარმოებს:

ღებულობს ფულს შესანახად სასარგებლოდ მოთხოვნამდე (მიმდინარე ანგარიშით) და იძლევა 1 წლის მეტის ვადით შეტანილ თანხაზე—$6^3/_4$ სარგებელს, ამასთანავე 3 თვის სარგებელს წინდაწინვე იძლევიან, 1 წლისაზე—$6^1/_2$, წინანა დღით 2 თვის სარგებელს იძლევიან, 6 თვიანზე—6, 1 თვის სარგებელს წინა დღით-ვე იძლევიან, ჩვეულებრივ მიმდინარე ანგარიშებით—5%.

მყიდულობს, ჰყიდის და იგირავებს დიდის სარგებლით ყველა სარგებლიან და დივიდენდის ქაღალდებს, რაც ბირჟაზე ტრიალებს.

ასრულებს დავალებას ბირჟაზე ყოველგვარ სარგებლიან და დივიდენდის ქაღალდების სასყიდლად, იღებს მხოლოდ საკომისიოს, მაკლერების უკურტაჟოდ.

მიმდინარე ანგარიშის სპეციალურ ანგარიშა აწარმოებს ონ კოლ (on coll).

ვისაც თავის თანხის გადიდება, ბირჟაზე ფასიან ქაღალდების სყიდვა-გასყიდვით ჰსურს, მაზანდის დაცემისა და კურსის აწევის დროს, რომელიც მცირე თანხის პატრონსაც საშუალებას აძლევს დიდი თანხა დაატრიალოს ქაღალდებით. ამ ანგარიშის სათავდებოდ ნაღდი ფული უნდა წარმოადგინონ 300—400 მან. ქაღალდებით მაზანდის კვალობაზე.

ასეთ ანგარიშის გახსნის შემდეგ, კლიენტს უფლება ენიჭება ს-პეტერბ. საფონდო ბირჟაზე საბანკო სახლის შემწეობით ყოველგვარი სარგებლიანი და დივიდენდის ქაღალდები იყიდოს სათავდებოდ შეტანილ თანხაზე 4—5 ჯერ მეტის ღირებულებისა და თავის სურვილისამებრ გაჰყიდოს ისინი. ამ ანგარიშით სარგებელს მხოლოდ იმ დღეებისას უანგარიშებენ, რამდენ ხანსაც კლიენტი საბანკო სახლის ფულით სარგებლობდა.

გამოისყიდის სარგებლიანსა და დივიდენდის ქაღალდებს ყველა საკრედიტო დაწესებულებიდან და ამასთანავე მისცემს ზედმეტს უდიდეს სესხსა და უფრო გრძელის ვადით.

### ჰ ყ ი დ ი ს
მ ო მ გ ე ბ ი ა ნ ბ ი ლ ე თ ე ბ ს

ყველა სამივე სესხისას სულ ახალსა და შეღავათიან პირობებით ვადიან სესხის ვარაუდით, მცირედის ბეის შეტანით, დანარჩენ ფულის შესატან ვადის გადადებით, სურვილისამებრ, როდესაცა ჰსურთ და რიმეენის გადახდაცა ჰსურთ. ვადის გადაცილებაზე არავითარი ჯარიმა არ ედებათ. კუპონები სყიდვის დღიდანვე მსყიდველის კუთვნილებაა.

დრო და დრო ფულის გადახდით ბილეთების გამოსყიდვა, ნაღდ ფულზე ნასყიდობასთან შედარებით, ზაქარია ჟდანოვისა და ამხ. საბანკო სახლი ეხლა მსყიდველებს დიდს ეკონომიას აწევინებს (ბილეთი უფრო იაფად ჯდება, ვიდრე დრო და დრო შეტანით 65—100 მ. დიდ შეღავათებით) და მსყიდველს ათასგვარ უხერხულობისაგან, უსიამოვნობისაგან და ზედ მეტ ხარჯებისაგან იხსნის, რაც აუცილებლად თან სდევს ყოველთვიურად შესატანის გზავნას.

ა ზ ღ ე ვ ე ს

ყველა მომგებიან ქაღალდებს ტირაჟში გამოსვლიდან და აგრეთვე როსტოვკავკასიისა, მოსკოვ-ყაზანისა და მოსკოვ-კიევ-ვორონეჟის რკინის გზის აქციებს.

ს ე ს ხ ა ვ ს
ტირაჟში გამოსულ ფასიან ქაღალდებს,
ა ნ ა ღ დ ე ბ ს
ვადიან კუპონებს და ანგარიშს უწევს უვადოებს.

ა ს რ უ ლ ე ბ ს დ ა ვ ა ლ ე ბ ა ს

გასასწორებელ ანგარიშების სხვა და სხვა საბუთიან ქაღალდების ჩიხედვით ს.-პეტერბურგში პროვინციელ ელემენტების ხარჯით.

შესანახად და საგამგებლოდ მიიღებს

ფასიან ქაღალდებს, მცირე საკომისიოს აიღებს.

საბანკო სახლს, საკუთარი რკინა გადაკრული უშიშარი საწყობი აქვს, ჯავშანგადაკრულ ფოლადით და ტეხნიკის უკანასკნელ მოთხოვნილების მიხედვით დამზადებული.

პროვინციის კლიენტებისათვის

მოწყობილია სპეციალური განყოფილება კორესპონდენტთა აურებელ შტატებით და სხვა ქალაქის მცხოვრებთა ყოველგვარ დავალებას საგულისგულოდ, სწრაფად და ნამდვილად ასრულებს.

დაწვრილებითი პროსპექტი

მაგალითებით განმარტებული და ოპერაციის წესების აღნიშვნით უფასოდ ეგზავნებათ.

შეკითხვაზე პასუხები

დაუყოვნებლივ ეძლევათ, თუ სწორე და ნამდვილი მისამართია აღნიშნული, გარკვეულის ხელით და საპასუხო მარკით.

წერილებისათვის მისამართი:

Банкирскому дому Захарій Жадновъ и К-о. С-Петербургъ დეპეშისათვის: Петербургъ Банкжданъ (2—1034—1) метцль и К-о.